

აკოლონ სილაგაჰე
ვასტანგ გურული

საქართველოს
განუყოფლობისათვის
ბრძოლის ისტორიიდან
ნაკვეთი II

თედო სახოკიას ქართული
პარტია აფხაზეთში
(1895-1904)

ნარკვევი. დოკუმენტები

გამომცემლობა „ინტელექტი“

თბილისი
1999

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვალერიან მაჭარაძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მერაბ ვაჩნაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
დიმიტრი შველიძე

РЕДАКТОР: доктор исторических наук,
профессор **Валериан Мачарадзе**

РЕЦЕНЗЕНТЫ: доктор исторических наук,
профессор **Мераб Вачнадзе**

доктор исторических наук
Дмитрий Швелидзе

ბაგდატიანი

ОЧЕРК

თედო სახოკიას
ქართული პარტია აფხაზეთში
(1895-1904)

აფხაზეთის 1993 წლის ტრაგედიის შემდეგ დაიწყო... დამნაშავეის ძებნა. ცხელ კვალზე მომხდარის ობიექტური შეფასება არც იყო მოსალოდნელი, მაგრამ აბსოლუტურად გაუძარტლებელი იყო ის, რომ ზოგმა გაუცნობიერებლად, ზოგმაც სრულიად ცნობიერად დაიწყო საზოგადოებაში ასეთი აზრის დამკვიდრება: აფხაზეთის დროებით დაკარგვაში ბრალი, პირველ ყოვლისა, მიუძღვის იქაურ ქართულ (ე. ი. უპირატესად მეგრულ) მოსახლეობას. ერთმანეთში აირია ტყუილი და მართალი. ობიექტური მემატიანე კი დუმდა. სხვათაშორის, მაშინ მისი დრო ჯერ არც იყო დამდგარი, მის სიტყვას მაშინ ფასი არ ექნებოდა...

აფხაზეთის ტრაგედია არც XX საუკუნის 70-90-იან წლებში დაწყებულა და არც 20-იან წლებში. იგი გაცილებით ადრე დაიწყო, მას დიდხანს და გულდასმით ამზადებდნენ.

ტრაგედიას XIX საუკუნის დამდეგიდან ამზადებდა რუსეთის იმპერია. ამ საქმეს ემსახურებოდნენ ჭკვიანი პოლიტიკოსები, გამოცდილი დიპლომატები, უნარიანი მოხელეები. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ქართულ (ე. ი. უმთავრესად მეგრულ) მოსახლეობას – დღეს ეს ჩვენ თამამად შეგვიძილია ვთქვათ – ფარ-ხმალი არ დაუყრია, არცერთი წუთით არ დავიწყნია ერთიანი საქართველოს იდეა და ყოველთვის დიდი შემართებით ებრძოდა იმპერიის კოლონიურ პოლიტიკას აფხაზეთში. სამწუხაროდ, ამ ბრძოლის ბევრი ფურცელი დღემდე უცნობია. შესაბამისად, დღემდე არც ისაა ხაზგასმული კონკრეტულად, რომ ქართული მოსახლეობის ბრძოლა აფხაზეთის შენარჩუნებისათვის იმავდროულად ნიშნავდა აფხაზების, როგორც ხალხის, გადარჩენისათვის ბრძოლას,

რადგანაც ამ უკანასკნელს რუსეთის იმპერიის მხრიდან ასიმილაციის აშკარა საფრთხე ემუქრებოდა.

ასე იყო XIX საუკუნეში, ასე იყო 1917-1921 წლებში და 1921 წლის შემდეგაც.

პირველ სერიოზულ წარმატებას აფხაზეთში რუსეთმა 1806-1812 წლებში თურქეთთან ომში გამარჯვებით მიაღწია. 1810 წელს რუსებმა სოხუმი აიღეს. იმავე წელს აფხაზეთის მთავარი რუსეთის მფარველობაში შევიდა. კიდევ უფრო შესუსტდა თურქეთის პოზიციები აფხაზეთში 1828-1829 წლების ომში მარცხის შემდეგ. მიუხედავად ამისა, თურქეთი რევანშისტულ გეგმაზე ხელს არ იღებდა, რაც მთელი სიცხადით დადასტურდა ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) პერიოდში. მაგრამ 1877-1878 წლების ომში თურქეთის მარცხმა აშკარა გახადა, რომ მან კავკასიაში პოზიციები დაკარგა, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ 1864 წლისათვის რუსეთმა კავკასიის მთიელები დაიმორჩილა — კავკასიის დიდი ომები წარმატებით დაამთავრა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ განსაკუთრებით მიზანსწრაფული ხდება იმპერიის კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთში. ამ პოლიტიკის უმთავრესი მიზანი იყო: საქართველოს ნაწილის, ქართველთა განსახლების ტერიტორიის ნაწილის — აფხაზეთის — ჩამოცილება საქართველოდან, ადგილობრივი, მკვიდრი, ქართული მოსახლეობის მაქსიმალური შევიწროვება, აფხაზების ასიმილაცია. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდებოდა, კერძოდ, მაშინ, თუ აფხაზეთიდან განიდევნებოდა ქართული ენა, ქართული ეკლესია, ქართული კულტურა, ე. ი. აფხაზები და იქაური ქართველები მოსწყდებოდნენ ქართულ სამყაროს.

აფხაზეთში კოლონიური პოლიტიკის შედეგიანობის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო ცნობილი მუჰაჯირობა — აფხაზების ნაწილი ვერ შეეგუა რუსეთის გაბატონებას და თურქეთში გადასახლდა. ცარისტული ადმინისტრაცია თითქოს წინააღმდეგი იყო აფხაზების თურქეთში გადასახლებისა, სინამდვილეში კი სერიოზულ წარმატებას ზემობდა: ოპოზიციური ძალის

მნიშვნელოვანმა ნაწილმა აფხაზეთი დატოვა და კოლონიური პოლიტიკის გატარება გაადვილებული გახდა.

აფხაზეთის კოლონიზაციის ფორსირებული ტემპებით განხორციელება დაემთხვა რუსეთში პოლიტიკური რეაქციის დასაწყისს, რომელიც დაკავშირებული იყო იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობასთან (1881 წ.) და ალექსანდრე მესამის მეფობის დასაწყისთან. კოლონიური პოლიტიკის უმთავრეს პრაქტიკულ მიზანს წარმოადგენდა: პირველი — დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა აფხაზეთში, უცხოტომელთა ჩამოსახლების კვალობაზე ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირება; მეორე — ეკლესიიდან ქართული ენის განდევნა; მესამე — საეკლესიო-სამრევლო და საერო სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვა; მეოთხე — ქართული მოსახლეობის ყოველმხრივი შევიწროვება; მეხუთე — აფხაზეთის გარუსება, მათი ასიმილირება.

ამ მიზნის განხორციელებისთვის კოლონიურმა ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა. კერძოდ: 1. რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით, აფხაზეთის იმ ეკლესიებში, რომელთა მრევლს აფხაზეთი შეადგენდნენ, ღვთისმსახურება საეკლესიოსლავურ ენაზე უნდა აღესრულებინათ; 2. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1898 წლის 17 მარტის ბრძანებულებით, აფხაზეთისა და სამურზაყანოს სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება; ღვთისმსახურების საეკლესიოსლავურ ენაზე აღსრულების და სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვის განხორციელებაზე სასულიერო და ადმინისტრაციულმა ხელისუფლებამ უმკაცრესი კონტროლი დააწესა; 3. სოხუმში, უპირატესად აფხაზი ბავშვებისათვის, გაიხსნა საქალაქო სკოლა, სადაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა; სკოლის მოწაფეთათვის სტავროპოლის გიმნაზიაში გამოყოფილ იქნა სახელმწიფო სტიპენდიები; 4. ქართველებისათვის შეიზღუდა სოხუმის ოკრუგის სასოფლო თემების მუდმივ მცხოვრებლად გახდომის საშუალება; თემის მუდმივ მცხოვრებლად ითვლებოდა ის, ვინც ამ უფლებით სარგებ-

ლობდა 1865 წლამდე; 5. აფხაზეთში დაიწყო რუსი კოლონისტების მასიური ჩამოსახლება.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგისათვის აფხაზეთში შეიქმნა უმძიმესი, ფაქტობრივად — კატასტროფული სიტუაცია.

დღეს ჩვენთვის აშკარა ხდება, რომ მდგომარეობა იხსნა აფხაზეთის ქართველი ინტელიგენციის, ილია ჭავჭავაძის და, საერთოდ, სამოციანელთა დიდი თაობის ტრადიციებზე აღზრდილი მამულიშვილების გმირულმა ბრძოლამ რუსეთის კოლონიური ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

აფხაზეთის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში გამორჩეული ადგილი უკავია თედო სახოკიას მიერ შექმნილ „ქართულ პარტიას“, რომლის არსებობის შესახებაც დღემდე ჩვენთვის თითქმის არაფერი იყო ცნობილი. პარტიის მოღვაწეობის ამსახველ დღემდე უცნობ საარქივო დოკუმენტებსა და მასალებს ვთავაზობთ მკითხველს.

მასალა დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, ხოლო დედანთან შეჯერებული ასლები — საქართველოს პრეზიდენტის არქივში. დანართში ვთავაზობთ აგრეთვე იმ ეპოქის პრესაში გამოქვეყნებულ ზოგიერთ მასალას, რომელიც ასევე საინტერესოა ქართული პარტიის ისტორიისათვის.

* * *

ორიოდე სიტყვა საარქივო დოკუმენტების შესახებ.

1. ჩვენს მიერ გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტები პირველხარისხოვანია თედო სახოკიას ქართული პარტიის ისტორიის შესასწავლად, რადგანაც დღემდე ამ პარტიის არსებობის შესახებ ფაქტობრივად არაფერი იყო ცნობილი; ამ მასალას ვერ შეცვლის მემუარული, პუბლიცისტური და სხვა ხასიათის მასალა.

2. საარქივო დოკუმენტები საყურადღებოა რამდენიმე თვალსაზრისით: ა) ისინი რუსეთის იმპერიის კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის სხვადასხვა დონის მოხელეებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს ეკუთვნის, ე. ი. ოფიციალურია და, ამდენად, იძლევა კარგ მასალას კოლონიური პოლიტიკის არსის, მისი განხორციელების გზების, სირთულეების და ა. შ. შესახებ; ბ) დოკუმენტები თავის დროზე დგებოდა როგორც საიდუმლო, მის გამოქვეყნებაზე არავინ ფიქრობდა და, ამდენად, შემდგენლები გულახდილნი იყვნენ, არაფერს მალავდნენ, კერძოდ, — კოლონიური პოლიტიკის მიზნებთან, კონკრეტულ გეგმებთან, მეთოდებთან და ა. შ. დაკავშირებით; გ) დოკუმენტები ძიების მასალებს წარმოადგენს, ძიებას კი აინტერესებდა პარტიის მოღვაწეობის ყოველი დეტალი, მათ შორის ისეთიც, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს; დ) ამასთან, საარქივო დოკუმენტებსა და მასალებს აქვთ თავისებური ნაკლიც: ქართული პარტიის საქმის ძიებისას მისი წევრები, ბუნებრივია, შეეცდებოდნენ დაემალათ ყველაფერი, რათა ამ გზით მოსალოდნელი სასჯელი შეემსუბუქებინათ; სწორედ ამიტომ ქართული პარტიის მოღვაწეობის ბევრი მნიშვნელოვანი მხარე ძიებისთვის (და ჩვენთვისაც) უცნობი დარჩა.

3. თედო სახოკიას ქართული პარტიის შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტები და მასალები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ არა მარტო ქართული პარტიის მოღვაწეობის ისტორია, არამედ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის სურათი, ღრმად ჩავიხედოთ ჩვენი სამშობლოს ისტორიაში, იმ დეტალებში, რომელთა დავიწყებაც არ შეიძლება.

საქართველოდან აფხაზეთის ჩამოცილება, აფხაზების ასიმილაცია რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყო. აი, რას წერდა ადმინისტრაციის მაღალი რანგის მოხელე, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი გერშელმანი 1900 წლის 2 სექტემბერს: "В последнее время была осознана польза и возможность колонизации округа русскими людьми, пользуясь для того землями, оставшимися свободными после бывшей эмиграции туземного населения (იგულისხმება მუჰაჯირობა — ა. ს., ვ. გ.) и дело ведется в этом направлении сравнительно успешно, благодаря значительному числу русских крестьян, заявляющих желание поселиться в Сухумском округе". ცოტა ქვემოთ სამხედრო გუბერნატორი კიდევ უფრო ცხადად აყალიბებს კოლონიური პოლიტიკის ამოცანებს: "Русская колонизация округа имеет для него большое государственное значение в политическом отношении. Абхазы, составляющие главную массу населения округа (როგორც ვნახეთ, ეს არ შეესაბამება სიმართლეს — ა. ს., ვ. გ.) до сих пор представляют из себя народность крайне мало культурную, мало развитую, как в умственном, так и в нравственном отношении, шаткую в своих религиозных убеждениях и не раз уже проявившую свою политическую неблагонадежность. Все это вызывает необходимость особого внимания к ним. Помочь делу можно внесением в край русской гражданственности (! — ა. ს., ვ. გ.), которая в действительности понемногу упрочивается в округе, но задача это далеко еще не закончена. Лучшим средством к осуществлению ея надо бесспорно признать колонизацию края русским населением".

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს კარგად ესმოდა კოლონიური პოლიტიკის მიზნები აფხაზეთში, ამასთან — მშვენივრად ხელავდა საშიშ ტენდენციას, რომელიც ღიდ საფრთხეს

უქმნიდა რუსეთის ინტერესებს: "Делу русской колонизации и упрочению русской гражданственности надо представить условия нормального развития, тщательно устраняя все, что может ему мешать. Между тем, в последнее время замечается сильное противодействие развитию русской гражданственности и русскому направлению в Сухумском округе, со стороны грузин, преимущественно мингрельцев".

ცხადი იყო, რომ აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილება და ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ ქართული ენის განდევნის შემდეგ.

ეს არ არის გადაჭარბებული მტკიცება — ქართული ენა და მისი ფუნქციონირება გადამწყვეტი ძალის იარაღი იყო და გუბერნატორი აბსოლუტურად მართალია: "Перечисленные меры при всей своей целесообразности составляют все-таки полумеры. Ими трудно бороться со злом, пока в руках противной партии находятся такие сильные средства, как церковь и школа, руководимые грузинским духовенством"

აფხაზეთის ეკლესიიდან და სკოლებიდან ქართული ენის განდევნის აუცილებლობაზე მსჯელობის შემდეგ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი დაასკვნის: "Такою мерою коренное население Сухумского округа было бы самым надежным образом убережено от грузинского влияния... Абхазцы, не имея своей письменности, одинаково не знают, как русского и славянского языков, так и грузинского, так что в этом отношении для них безразлично, будет их пастырь русский, или грузин".

სწორედ ამიტომ მიაჩნდა გუბერნატორს, რომ, თუ მისი გეგმა აფხაზეთის კოლონიზაციის შესახებ მიღებული იქნება, "Желательно было бы произвести преобразование возможно скорей, а для того прекратив дальнейшее назначение в Сухумский округ священников и учителей из грузин, по мере открытия священнических и учительских

вакансий в Кутаисской губернии, переводить на них священников и учителей из Сухумского округа, заменяя их в последнем русскими”.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის თქმა, რომ, კოლონიზაციის გეგმის მიხედვით, მთელი დარტყმა მხოლოდ ქართულ მოსახლეობაზე იგულისხმებოდა, — გეგმა აფხაზური ნაწილის შევიწროებაზეც იყო აგებული და ხორციელდებოდა კიდევ. ზემოთ ჩვენ ვახსენეთ მუჰაჯირობა და უკვე ვნახეთ, რომ იგი ასე იყო გამოყენებული: “В последнее время была осознана польза и возможность колонизации округа русскими людьми, пользуясь для того землями, оставшимися свободными после бывшей эмиграции туземного населения и дело ведется в этом направлении сравнительно успешно, благодаря значительному числу русских крестьян, заявляющих желание поселиться в Сухумском округе” (ქუთაისის სამხედრო გუბარნატორის 1900 წ. 2 სექტემბრის წერილიდან).

გეგმა გლობალური იყო. ასე რომ, როდესაც გამოქვეყნებულ დოკუმენტებში შევხვდებით სიტყვას — “огрузинить” (“огрузинить население Абхазии и Самурзакани”), რომლითაც გამოიხატებოდა ბრალდება ქართული პარტიის წევრების მიმართ, ყველგან, ნამდვილი ისტორიული სურათის პოზიციებიდან, უნდა წავიკითხოთ: “воспрепятствовать обрусению”

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს აფხაზეთში იმპერიის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც დღეს ცნობილი ხდება, სათავეში ედგა დიდი ქართველი მამულიშვილი თედო სახოკია და მის მიერ შექმნილი ქართული პარტია.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის პირველ წერილში ერთხელ მოხსენებულია “партия Грузин”, რამდენიმეჯერ — “грузинствующая партия”, ერთხელ ნახმარია — “кружок”, ყველა სხვა შემთხვევაში და სხვა დოკუმენტებშიც იხმარება — “грузинская партия” შეიძლება ფიქრი იმაზე, რომ ლაპა-

რაკია არა პოლიტიკურ პარტიაზე, ამ ცნების ზუსტი მნიშვნელობით, არამედ მოღვაწეთა გაერთიანებაზე, ორგანიზაციაზე, რომელიც მიზანმიმართულად და ერთობლივად მუშაობს გარკვეული მიმართულებით. მაგრამ დოკუმენტების სკრუპულოზური ანალიზი გაცილებით უფრო სარწმუნოს ხდის იმ ვარიანტს, რომ იგულისხმება სწორედ პარტია; ამაზე თუნდაც ასეთი ფრაზები მიუთითებენ: "Руководимая Сахокием партия"; "организованная Сахокия грузинская партия"; "о выселении всех членов партии"; "являющиеся послушными и слепым исполнителями всех предначертаний грузинской партии, раскинувшей свои сети по всей Кутаисской и Тифлисской губерниям и оказывающей тайную поддержку главарям организованной в Сухумском округе шайки"; "во главе движения в Сухумском округе стоят несколько лиц, проживающих в разных пунктах его и являющихся местными агентами тайной грузинской партии, распространяющей свое влияние в Закавказье вообще" და ა. შ. უკანასკნელი ორი ციტატის მიხედვით, იმის დაშვებაც შეიძლება, რომ სოხუმის ორგანიზაცია არის არა თავისთავადი ერთეული, არამედ უფრო დიდი სტრუქტურის — პარტიის — ნაწილი, მაგრამ ყველაფერი სხვა, რაც წარმოადგენილია დოკუმენტებში, ამას მხარს არ უმაგრებს. რაც მთავარია, დოკუმენტი №3, რომლის ადრესანტი არის "Канцелярия Главноначальствующего по военно-народному управлению Кавказского края" და რომელიც წარმოადგენს პარტიის 7 წევრის საქმის გამოკვლევის გადმოცემას, პირდაპირ — დასკვნების სახით — აღნიშნავს: 1. "... являющихся главными представителями грузинской партии, противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа". 2. "... в пределах Сухумского округа существует партия проживающих в разных населенных пунктах этого округа грузин".

რაც შეეხება პარტიის დასახელებას, „ქართული პარტია“ ჯერჯერობით ჩავთვალოთ პირობით სახელწოდებად (თუმცა, როგორც ჩანს, მას მაინც სწორედ ასე ერქვა).

ქართული პარტიის ელიტას, თედო სახოკიას გვერდით, შეადგენდნენ: ანთიმოზ ივანეს ძე ჯუღელი, ივანე კონსტანტინეს ძე გეგია, გრიგოლ ივანეს ძე კანდელაკი, ივანე გაბრიელის ძე ბურჭულაძე, ფარნა ნიკოლოზის ძე დავითაია, სპირიდონ ლევანის ძე ნორაკიძე. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ პარტიის წევრები იყვნენ სასულიერო პირნი: დეკანოზი დავით მაჭავარიანი, მღვდელი ბესარიონ ხელაია (შემდეგში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი), მღვდელი ავქსენტი სახოკია, მღვდელი ივანე ჩხენკელი. ქართულ პარტიაში დაიწყო თავისი მოღვაწეობა ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, შემდეგში საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველმა საგარეო საქმეთა მინისტრმა – აკაკი ჩხენკელმა (ივანე ჩხენკელის შვილმა). თედო სახოკიას მიერ შექმნილ ქართულ პარტიასთან იყვნენ დაკავშირებულნი და მას თანაუგრძნობდნენ: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, ეპისკოპოსი კირიონი (შემდეგში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II), ქუთაისის ეპისკოპოსი ლეონიდი (შემდეგში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი) და სხვა ცნობილი საეკლესიო მოღვაწენი.

კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია სპეციალურად უსვამს ხაზს იმ მეტად საინტერესო ფაქტს, რომ თედო სახოკიას ქართული პარტია“ ”состоит под тайным покровительством деятельных руководителей епископов-грузин: Гурийско-мингрельского – Александра, викария Кириона, ныне переведенного на службу во внутренния губернии России, члена Синодальной конторы Леонида, ныне епископа Кутаисского, инспектора школ совета Общества восстановления православия на Кавказе – Маминашвили (ныне помощник инспектора одной из духовных семина-

რი) и преподавателя Тифлисского духовного училища Натриева (Натрошвили — а. ს., ვ. გ.)“.

თელო სახოკიას ქართული პარტიის წევრი იყო ან მას მხურვალედ უჭერდა მხარს საქართველოს სამი მომავალი კათალიკოს-პატრიარქი: კირიონ II (გიორგი საძაგლიშვილი), ლეონიდი (ლონგინოზ ოქროპირიძე) და ამბროსი (ბესარიონ ხელაია). ეს არ იყო არც უმნიშვნელო, არც შემთხვევითი ფაქტი. სამივე საეკლესიო მოღვაწე ცოტა მოგვიანებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის უშუალო ხელმძღვანელები გახდნენ. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ თელო სახოკიას ქართული პარტიის წევრებისათვის მოღვაწეობის მიზანს არა მარტო აფხაზეთში ქართული ეკლესიის შენარჩუნება შეადგენდა, არამედ უფრო მეტი — საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა.

* * *

თელო სახოკიას ქართული პარტია არ იყო ვიწრო რეგიონალური, მხოლოდ აფხაზეთში მოქმედი, ორგანიზაცია. 1900 წლის 3 აგვისტოს მოხსენებაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავს, რომ ქართულ პარტიას ქსელი ჰქონდა გაბმული ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში.

1900 წლის 2 სექტემბერის მოხსენებაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი გერშელმანი, ეტყობა, ძიების მიერ მოპოვებული ახალი მასალების საფუძველზე, დაასკვნის: "Во главе этого движения в Сухумском округе стоят несколько лиц, проживающих в разных пунктах его, являющихся местными агентами тайной грузинской партии, распространяющей свое влияние в Закавказье вообще".

ძიებას არ დაუზუსტებია, კონკრეტულად რომელ ქალაქებში ჰყავდა წევრები ქართულ პარტიას, მაგრამ ქართული პარტია რომ მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედებდა, ამაში

ეჭვი არც ძიებას და არც სასამართლოს არ შეუტანია. ალბათ ძიება არც იმაში შემცდარა, რომ ქართული პარტია კავკასიის მასშტაბით მოქმედ ორგანიზაციად მიიჩნია. ცნობილია, რომ იმ პერიოდში ქართველები დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ, მაგალითად, ბაქოსა და ვლადიკავკაზში. გამორიცხული არ არის, რომ იქაური ქართველები თედო სახოკიას ქართულ პარტიასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ამის დადასტურებაა ისიც, რომ ქართული პარტიის წევრი თუ არა, მისთვის და თედო სახოკიასთვის დიდი დახმარების აღმომჩენი იყო (ეს გამოძიებამ დაადგინა) ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი.

თედო სახოკიას ქართული პარტია რომ საერთო ქართული ორგანიზაცია იყო, არც ესაა უმნიშვნელო და შემთხვევითი ფაქტი. თედო სახოკია და მისი თანამოაზრენი ილია ჭავჭავაძის იდეებზე აღზრდილი მოღვაწეები იყვნენ და შესისხლხორცეული ჰქონდათ ქართველი ერის დიდი თუ მცირე სატკივარის საერთოქართული პოზიციიდან ზედვა, ერთიანი ქართული მიდგომის აუცილებლობის აღიარება. კონკრეტულ შემთხვევაში თედო სახოკიას კარგად ესმოდა, რომ აფხაზეთში ქართული ეკლესიის სიმტკიცე საერთოდ ქართული ეკლესიის სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული; უფრო მეტიც: აფხაზეთში ქართული ენა, ქართული კულტურა გადარჩებოდა მხოლოდ მაშინ, თუ საერთოდ გადარჩებოდა ქართული ენა და კულტურა; თედო სახოკიას პრობლემის მეორე მხარეც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული: აფხაზეთში მოპოვებული ყოველი გამარჯვება ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლის გზაზე მოპოვებული დიდი გამარჯვება იქნებოდა.

თედო სახოკიას ქართული პარტია არალეგალურად მოქმედი ორგანიზაცია იყო, მის პროგრამას ჩვენამდე არ მიუღწევია. ძიების მასალებში ქართული პარტიის მოღვაწეობის მთავარი მიზნები ასეა განსაზღვრული: "Поставив себе целью воспрепятствовать мерам правительства сблизить коренное население Абхазии и Самурзакани с русским и водворить среди него начало русской гражданственности, Сахокия организовал в пределах Сухумского округа партию грузин, настойчиво домогающихся: а) отправления богослужения в церквях с абхазским населением не на славянском, а исключительно на грузинском языке и б) преподавания всех предметов обучения в церковно-приходских школах Общества восстановления православия на Кавказе, находящихся в пределах Абхазии и Самурзакани, на грузинском, а не на русском языке, дабы этим путем огрузинить население Абхазии и Самурзакани".

რა თქმა უნდა, თედო სახოკიას ქართული პარტია სულაც არ იყო რელიგიური ორგანიზაცია – მას წმინდა პოლიტიკური მიზნები ჰქონდა. ზემოთ მოტანილი ამონაწერიდან, ასევე სხვა მასალებიდან, ღვინდება, რომ ეს მიზნები შემდეგში მდგომარეობდა: ა) ქართული ენის დაკანონება აფხაზეთში როგორც ეკლესიაში, ისე საეკლესიო-სამრევლო და საერო სკოლებში, რაც უნდა ქცეულიყო ქართული კულტურის ძლიერი აღმავლობის საფუძვლად; ბ) ქართული ენის, ქართული კულტურის მეშვეობით ქართული ეროვნული ცნობიერების გამოღვივება-განმტკიცება და გადამწყვეტი ბრძოლის დაწყება რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის შედეგების ლიკვიდაციისთვის და ახალი შემოტევების წინააღმდეგ.

რატომ იწყებდა თედო სახოკიას ქართული პარტია დიდ ეროვნულ საქმეს აფხაზეთის ეკლესიებში ღვითსმსახურების ქართულ ენაზე დაკანონებისა და ქართული სკოლის მოთხოვ-

ნებით? ცნობილია, რომ რუსმა კოლონიზატორებმა ქართველი ერი დაჰყვეს „ხალხებად“: „მეგრელები“, „გურულები“, „სვანები“, „იმერლები“, „აჭარლები“ და საკუთრივ „ქართველები“ (ქართლელები და კახელები). მიზანი ნათელი იყო: თუ აღარ იარსებებდა ერთიანი ქართველი ერი, მაშინ აღარც ერთიანი საქართველოს მოთხოვნა იქნებოდა შესაძლებელი, მაშინ აფხაზეთის საქართველოდან გაყვანაც განხორციელებადი საქმე იქნებოდა. კოლონიური პოლიტიკის ამ მიზნის ზორცშესხმას წინ ეღობებოდა, პირველ რიგში, ქართული ენის ფაქტორი. „მეგრელებად“, „გურულებად“, „სვანებად“, „იმერლებად“ და „ქართველებად“ „დაშლილი“ ქართველი ერი მაინც ერთ ერად — ქართველ ერად დარჩებოდა, სანამ მეგრელიც, გურულიც, სვანიც, აჭარელიც, იმერელიც, ქართლელიც და კახელიც ერთ ენაზე — ქართულ ენაზე ილაპარაკებდა, სანამ ეკლესიაში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აღსრულდებოდა, სანამ სკოლებში ბავშვები ქართულ ენაზე ისწავლიდნენ... ამდენად, თედო სახოკიას ქართული პარტია თავისი მოთხოვნით — ღვთისმსახურება და სწავლა-განათლება ქართულ ენაზე — ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას ემსახურებოდა, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა (და მოჰყვა კიდევ) ქართველი ერის გამთლიანება, ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლის ერთიანი იდეოლოგიის შემუშავება და პრაქტიკული განხორციელების დაწყება.

თედო სახოკიას ქართული პარტიის საპროგრამო მოთხოვნა იყო აგრეთვე აფხაზების აღზრდა ქართულ სკოლებში, აფხაზი მრევლისათვის ღვთისმსახურების აღსრულება ქართულ ენაზე. აფხაზებს დამწერლობა არ ჰქონდათ, ამას კოლონიური ადმინისტრაცია იყენებდა იმისათვის, რომ აფხაზებს განათლება რუსულ ენაზე მიეღოთ. კოლონიური ხელისუფლების ნებით, იმ ეკლესიებში, რომლის მრევლს აფხაზები შეადგენდნენ, ღვთისმსახურება მხოლოდ რუსულ (საეკლესიო-სლავეურ) ენაზე აღესრულებოდა. თედო სახოკია აფხაზების ქართული სამყაროდან ხელოვნურად მოწყვეტას, საუკუნებრივი კავშირების

დარღვევას მიუღებლად მიიჩნევდა, მისი აზრით, აფხაზეთში რუსული კოლონიური პოლიტიკის წარმატებას ორი ტრაგიკული შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა: ა) აფხაზეთის ჩამოცილება საქართველოდან; ბ) აფხაზების როგორც ხალხის გაქრობა-ასიმილაცია ("... а в будущем для слияния туземного населения с русским"). თედო სახოკია აფხაზებს ქართულ ენასა და ქართულ კულტურას კი არ ახვევდა თავს, არამედ იცავდა მათ გადაგვარებისა და გაქრობისაგან.

* * *

თედო სახოკიას ქართული პარტია, მართალია, არალეგალურად მოღვაწეობდა, მაგრამ იგი, როგორც ჩანს, არ უნდა განვიხილოთ როგორც მკაცრად კონსპირირებული, ღრმა იატაკქვეშეთში მოქმედი, სექტანტურ პრინციპებზე აგებული ორგანიზაცია. რა თქმა უნდა, ქართული პარტიის წევრთა შეკრებები, საპროგრამო პრინციპებზე მსჯელობა, კონკრეტული ღონისძიებების დასახვა და ა. შ. ალბათ კონსპირაციული იქნებოდა, მაგრამ თვით ქართული პარტიის მოქმედება არ იყო ანონიმური და აფხაზეთის ქართული, ხშირ შემთხვევაში კი აფხაზი, მოსახლეობის ფართე მხარდაჭერას ეყრდნობოდა. როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო ქართული პარტიის გარკვეული ძლიერების წყარო. ძიება, რა თქმა უნდა, ცდილობს — ოღონდ ვერ ახერხებს — მდგომარეობა ცოტა სხვანაირად დაახასიათოს და ქართული პარტია ზოგჯერ ექსტრემისტულ ორგანიზაციადაც კი წარმოადგინოს, მაგრამ ეს, თვით ოფიციალური დოკუმენტების მიხედვითაც, სიცრუეა, შეთხზული მხოლოდ იმ მიზნით, რომ თედო სახოკიას და მის თანამოაზრეთა მკაცრად დასჯისთვის შეიქმნას სათანადო არგუმენტები (სხვა მიზნის შესახებ — ქვემოთ). ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის 1900 წლის 3 აგვისტოს მოხსენებიდან: "Так как все старания грузинской партии не приводили к желательным для нея результатам и так как коренное население

Абхазии и Самурзакани, не понимая грузинского языка не понимало в то же время всех стремлений означенной партии, то последняя стала прибегать с 1895 г. к нападкам и незаслуженному преследованию всех тех пастырей церкви, учителей в школах, административных и частных лиц, которые так или иначе препятствовали вожденным стремлениям ея". რა თქმა უნდა, თელო საზოკიას და მის თანამოაზრეებს არავინ აპატიებდა მღვდლების, მასწავლებლების, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლების, ან თუნდაც კერძო პირების დევნას (თანაც წლების მანძილზე). ეს თავისთავად, ყველა ვითარებაში, დასჯადი ქმედებაა, მით უფრო აღიკვეთებოდა იგი მაშინვე (და არა შემდეგ, სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით) იმათი მხრიდან, ვის ხელში იყო ძალაუფლების მთელი სისრულე და ვისი სახელმწიფო პოლიტიკის — ე. ი. კოლონიზაციისა და აფხაზეთის „გაწმენდის“ — წინააღმდეგ იყო პრინციპულად მიმართული ეს ქმედება. იგივე ითქმის ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის წერილის შემდეგ პასაჟზე: "Другие из членов кружка, путем угроз, увещаний вербуют в свою партию более влиятельных крестьян, подстрекают отдельных личностей, целые сходы и приходы отказаться от исполнения у своего священника духовных треб и подавать неосновательныя жалобы, приговоры, доносы и прошения". არა მარტო ჩვენთვის დღეს, არამედ ამ დოკუმენტის შექმნელთათვის მაშინ, ცხადზე უცხადესია, რომ ქართული პარტიის წევრებს მუქარით არ შეეძლოთ გადაებირებინათ (მიემზროთ) მოსახლეობა. ქართული პარტიის წევრებს ერთადერთი იარაღი ჰქონდათ: ეროვნული ცნობიერების გაღვიძება და მოსახლეობის დარაზმვა ეროვნული იდეის ხორცშესხმისათვის.

ეს არ იყო ადვილი საქმე და, თუ ქართული პარტია მიანცახერხებდა მთელი სოფლებისა და ეკლესიის მრევლის მიმხრობას, ეს მხოლოდ მის დიდ ავტორიტეტსა და პოპულარობაზე მიუთითებს, აგრეთვე — მუშაობის სერიოზულობასა და ნაყოფიერებაზე. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ასევე არ

არის მართალი, როცა წერს, რომ მღვდელი ივანე (იოანე) ქავჟარაძისათვის მრევლის მიერ ბოიკოტის გამოცხადების საქმის ძიებისას "выяснилась вся подпольная интрига той же грузинствующей партии, организованной Сахокием и руководимой тайными подстрекателями из грузинского духовенства". სინამდვილეში ყოველგვარი „იატაკქემა“ მუშაობის გარეშე, თელო საზოკიას ქართული პარტიის წევრთა ავითაციით სოფელ გუმურიშის მრევლმა, სულ 179 კაცმა, ბოიკოტი გამოუცხადა ცნობილ რუსიფიკატორს – მღვდელ ივანე ქავჟარაძეს, რომელმაც თავისი გამორჩეული აქტივობით ფაქტიურად თვითონვე აიმხედრა თავისი მრევლი. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი პრაქტიკულად აღიარებს ამას: "Произведенным в порядке Положения о Государственной Охране расследованием обнаружилось, что священник Кавжарадзе, защищая и строго проводя в жизнь местного абхазского населения начала русской гражданственности, ограждая население, церковь и школы всеми зависящими от него мерами от противозаконных посягательств и посползовений со стороны означенной партии, настойчиво следуя указаниям и распоряжениям Сухумского епископа преосвященного Арсения не допускать в церквах с абхазским населением отправления богослужения на грузинском языке, а в школах преподавания грузинского языка и обучения остальным предметам на грузинском языке". ასე რომ, მღვდელ ი. ქავჟარაძის სახით ჩვენს წინაშეა ის გადაგვარებული ადამიანი, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც დაუპირისპირდებოდა თავის მრევლს, რადგან მრევლს არ ესმოდა ის ენა, რომელზედაც ეკლესიაში ღვთისმსახურება აღესრულებოდა, ასევე არ ესმოდათ ბავშვებს ის ენა, რომელზეც სკოლაში ასწავლიდნენ. ქართული პარტიის წევრებმა ამ და მსგავს შემთხვევაში აღმუთოთებული მრევლის მოქმედებას ორგანიზებული ხასიათი მისცეს.

რაც შეეხება „ძალმომრეობას“, „წაქეზებას“, „მოსყიდვას“, „მოტყუებას“, „ინტრიგას“, რომლის საშუალებითაც თითქოს

პარტიის წევრები ხალხს რაზმავდნენ რუსთის ეკლესიის უწმინდესი სინოდისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანებულებების — ე. ი. ოფიციალური საეკლესიო ხელმძღვანელების ბრძანებულების — წინააღმდეგ, ასეთი რამ მართლა რომ ჩაედინათ ქართული პარტიის წევრებს, კოლონიური ადმინისტრაცია მათ, რა თქმა უნდა, თავიდანვე არ დაინდობდა და აღუძრავდა საქმეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ადმინისტრაცია სხვა შემთხვევაში სწორედ ასე იქცეოდა. მაგალითად, იყო მცდელობა ქართული პარტიის წევრთა მიმართ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საქმის აღძვრისა. 1900 წლის იანვარში სოხუმის საკათედრო ტაძარში დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა გიორგი წერეთლის პანაშვიდი ქართულ ენაზე გადაიხადა და თავისი სიტყვაც ქართულ ენაზე წარმოთქვა; სოხუმის ეპისკოპოსმა არსენიმ ამაში არსებული წესების დარღვევა დაინახა, საქმეში სოხუმის პოლიცმაისტერიც ჩაერია, მაგრამ დავით მაჭავარიანი ვერ დასაჯეს — მისი ქმედება არ იყო დასჯადი.

* * *

1895 წლიდან 1900 წლამდე თედო სახოკია და ქართული პარტიის წევრები კარგად გააზრებულ პროპაგანდას ეწეოდნენ საქართველოს ქართულ და რუსულ პრესაში, კერძოდ — ჟურნალ „მოამბეში“, გაზეთებში „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ. ქართული პარტიის დიდ გამარჯვებად ამ პერიოდში უნდა მივიჩნიოთ რამდენიმე ეკლესიის (სოფელი გუშურიში, ქალაქი სოხუმი) მრევლის დარაზმვა გადაგვარებული მღვდლების წინააღმდეგ — მღვდლებს მრევლმა ბოიკოტი გამოუცხადა. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა და სოხუმის ეპარქიის საეკლესიო ხელისუფლებას ყოველივე ეს გადაჭრით არ სიამოვნებდათ, მაგრამ მაინცდამაინც თავი არ შეუწუხებიათ, რადგან მღვდლების

დანიშნა და შეცვლა მათი საქმე იყო — მრევლის ბოიკოტს ყურად არ იღებდნენ.

1900 წლიდან ახალი ეტაპი იწყება ქართული პარტიის მოღვაწეობის ისტორიაში. თედო სახოკიამ აფხაზეთის ქართული ეკლესიის დიდი სატკივარი და, საერთოდ, აფხაზეთში კოლონიური ადმინისტრაციის ძალმომრეობა და სისასტიკე მსჯელობის საგნად აქცია უკვე მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით. 1900 წლის 1 ივლისს გაზეთ „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტში“ დაიბეჭდა თედო სახოკიას კორესპონდენცია სოხუმიდან (იხ. „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“, 1900, №177); კორესპონდენციის მიზანი იყო მთელი ქვეყნიერებისათვის ემცნო, რომ: 1) აფხაზეთის ქართული მოსახლეობა მოკლებულია უფლებას წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მოისმინოს; 2) აფხაზეთში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, ეკლესიიდან და სკოლიდან განდევნილია ქართული ენა.

როგორ მოხდა, რომ კორესპონდენცია, რომელიც თავისი არსით მიმართული იყო კავკასიის კოლონიური ხელისუფლების, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წინააღმდეგ, — ე. ი. იმპერიის სახელმწიფო პოლიტიკის, რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის პოლიტიკის წინააღმდეგ, — დაიბეჭდა რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და პოპულარულ გაზეთში? თედო სახოკიამ კორესპონდენციის შედგენისას პოლიტიკური ალლო და წინდახედულება გამოიჩინა, ტექსტი კამუფლირებული იყო და წინა პლანზე ისეთი საკითხები იქნა წამოწეული, რომლებიც თითქოს არ განეკუთვნებოდნენ ანტი-სახელმწიფოებრივს, ანტი-იმპერიულს, პირიქით — კორესპონდენციის ავტორს, ერთი შეხედვით, გულიც კი შესტკიოდა ადგილობრივი ადმინისტრაციისა და მაღალი თანამდებობის რუსი საეკლესიო პირების წინდაუხედავად მოქმედებაზე, რომელსაც დიდი ზიანი მოჰქონდა მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის აფხაზეთში, ე. ი. რუსეთის სახელმწიფო ინტერესებისათვისაც. თედო სახოკიამ, კერძოდ, ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: პირველი — აფხაზეთში

უხემად ირღვევა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ბრძანებულებები ქართველი მრევლისათვის ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აღსრულების შესახებ, რაც იწვევს ქართველი მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას; მეორე — ხელიდან იქნა გაშვებული შემთხვევა აფხაზეთში მცხოვრები, ბალტიისპირეთიდან გადმოსახლებული, კათოლიკე მოსახლეობის მართლმადიდებულ სარწმუნეობაზე მოქცევისა; მესამე — სოხუმის ეპისკოპოსმა არსენიმ და სოხუმის პოლიცემისტერმა დევნა და შევიწროება დაუწყეს სოხუმის საკათედრო ტაძრის დეკანოზს, ღრმად მოხუცებული დავით მაჭავარიანს, პიროვნებას, რომელიც, როგორც საეკლესიო მოღვაწე, ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის ოთხ იმპერატორს (ნიკოლოზ I, ალექსანდრე II, ალექსანდრე III, ნიკოლოზ II). აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ნამდვილი სატკივარი სწორედ ამ ფაქტების ფონზე გამოთქვა თედო სახოკიამ. რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ და სასულიერო წრეებში შეიძლება კიდევ მოუხვდნენ თედო სახოკიას სვლას, მაგრამ ამას უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა — კორესპონდენცია სოხუმიდან საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, „*ааже в высших правительственных кругах*“. პეტერბურგიდან ახსნა-განმარტება მოსთხოვეს კავკასიის კოლონიურ ადმინისტრაციას სწორხაზოვანი მოქმედებისათვის. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა, კერძოდ, მკაცრად მოჰკითხა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, საქართველოს ეგზარქოსს და სოხუმის ეპისკოპოსს. პასუხად, ახსნა-განმარტების გარდა, დაიწყო თედო სახოკიას ქართული პარტიის საქმის გამოძიება.

* * *

ქართული პარტიის საქმის გამოძიებას არსებული წესის მიხედვით ხელმძღვანელობდა ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, უფრო ზუსტად — ქუთაისის

გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანაშემწე სოხუმის ოკრუგში და მისდამი დაქვემდებარებული უწყება. მოძიებული მასალის მიხედვით, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა კავკასიის კოლონიური ხელისუფლების შესაბამისი უწყების სახელზე შეადგინა ორი მოხსენება 1900 წლის 3 აგვისტოს და იმავე წლის 2 სექტემბერს. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოხსენებები და, ნაწილობრივ, სხვა მასალა დაედო საფუძვლად ქართული პარტიის შესახებ კავკასიის მხარის სამხედრო-სახალხო მმართველობის მთავარმართებლის კანცელარიის 1904 წლის 12/15 მარტის წარდგინებას კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის საბჭოსადმი და კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის საბჭოს 1904 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებას ქართული პარტიის ბრალის განსაზღვრასა და მისი წევრებისადმი სასჯელის დადების შესახებ.

თედო სახოკიას, ერთი მხრივ, საჯარო, მეორე მხრივ, ჭკვიანურად გათვლილმა, დემარშმა შედეგად ის მოიტანა, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ორივე მოხსენება (1900 წლის 3 აგვისტო, 2 სექტემბერი) ფაქტიურად წარმოადგენს თავის მართლებას ზემდგომი ინსტანციების წინაშე. სწორედ ამიტომაც ორივე მოხსენება უხვად შეზავებული სიცრუით. აქ მთავარი ისაა, რომ საკუთარი, თავის გამამართლებელი, სიცრუე მოხსენებებში წარმოდგენილია იმპერიული, გლობალური სიცრუის ფონზე, რადგანაც იმპერიას რეგიონის გარუსების მიზნის გასამართლებლად უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა იდეოლოგიური პოსტულატები, მთლიანად დამყარებული სიცრუესა და გაყალბებაზე: ქართველები, ჯერ ერთი, მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ, მეორეც — არამკვიდრ მოსახლეობას, მაშასადამე აფხაზეთი არ არის საქართველოს ნაწილი და შეიძლება გამოცალკეებულ იქნას მისგან. მაგრამ საქმე ისაა, რომ სიცრუე ყოველთვის შეთხზული “ფაქტები”, ხოლო ფაქტების თხზვისას შეცდომებსა და შეუსაბამობებს ვერაფერ აიცილებს თავიდან. ასეა აქ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც: ავტორი (და მთლიანად ოფიციალური ხელისუფლე-

ბა) ერთგან ხელოვნურად ამცირებს ქართველთა რაოდენობას, მეორეგან ეს დაკლებული ციფრი ავიწყდება და იღებს სულ სხვა (მისთვის არასასურველ) რაოდენობას, მესამეგან ვერ იცავს ქართველის ქართველად იდენტიფიკაციის საკუთარსავე (რა თქმა უნდა გაყალბებულ) კრიტერიუმებს და ისევ სხვა სურათს იღებს. მეოთხეგან საერთოდ უაზრობა გამოსდის და ა. შ. საბოლოოდ, დოკუმენტების უმარტივესი ანალიზი გვიჩვენებს, რომ დოკუმენტებშივე გადმოცემულია იმის პირდაპირ საწინააღმდეგო დემოგრაფიული სურათი, რომელიც სურდა წარმოედგინა ავტორს (და რომელსაც პოპულარიზაციას უწევდა ხელისუფლება): ქართველები, აშკარად შემცირებული ციფრობრივი მონაცემებითაც კი, რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ.

მიყვებით ავტორის ზოგიერთ მსჯელობას.

1. რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულების ძალით, სოხუმის ოკრუგის იმ ეკლესიებში, რომლის მრევლს მეგრელები (ე. ი. ქართველები) შეადგენდნენ, ღვთისმსახურება ქართულ ენაზე უნდა აღესრულებინათ. ამ ბრძანებულებას ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ვერ უგულვებელყოფდა. ამიტომაც სიცრუეს მიმართავს, როცა 1900 წლის 3 აგვისტოს მოხსენებაში წერს, რომ თედო სახოკიას კორესპონდენციაში სოხუმის ოკრუგში მცხოვრები მეგრელების რიცხვი (55 ათასი) გადიდებულია. თვითონ სამხედრო გუბერნატორს 1900 წლის 3 აგვისტოს მოხსენებაში ასეთი სტატისტიკური მონაცემები მოაქვს: "во всем Сухумском округе к 1 января сего года (1900 г. — а. с., ვ. გ.) числилось 103262 душ обоего пола, из коих 36352 самурзаканца, 32127 абхазцев, 16195 мингрельцев, 7812 турецко-подданных армян, 4486 русских, 3862 грека, 6 грузин, 3 имеретина, 3 гурийца, 820 немцев и эстонцев, 934 турка и остальные народности" იქვე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავს, რომ "собственно в г. Сухуми проживают между прочим: 1658 мингрельцев, 1300 имеретин, 200 грузин и

100 ახაზე. ტაქიმ ბრბოტ ვო ვსემ ბკრუგე სოსტოიტ ნე 55000 მინგრელცევ, ა ლიშ 19351 ბელოეკ, ვკლბობი სობი ბბბბე ბისბო მინგრელცევ, იმერეტი, გრუზინი დ გურიეცევი”.

ეს სტატისტიკური მასალა რამდენიმე სერიოზულ სიყალბეს შეიცავს: ა) ვინ უნდა ვიგულისხმობთ ცნებაში „სამურზაყანოელი“? ასეთი ერი (ხალხი) არასდროს არ არსებულა. ცხადია, ცნებაში „სამურზაყანოელი“ უნდა ვიგულისხმობთ ისტორიული სამურზაყანოს მოსახლეობა. 1900 წლისათვის სამურზაყანოს მოსახლეობას თითქმის მთლიანად მეგრელები (ე. ი. ქართველები) შეადგენდნენ. აფხაზები აქ გაცილებით გვიანაც კი არ ჩანან მეტნაკლებად მნიშვნელოვანი რაოდენობით. თვით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ცნობით, 1900 წლისათვის ქალაქ სოხუმშიც კი 100 აფხაზი ცხოვრობდა. „სამურზაყანოელი“ რომ იგივე მეგრელი (ე. ი. ქართველი) იყო, ეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმაც კარგად იცოდა (იხ. – ქვემოთ), მაგრამ სტატისტიკური ცნობა განგებ გააბუნდოვნა. რუსი მოხელე ასე რომ არ მოქცეულიყო, მაშინ გამოდიოდა, რომ სოხუმის ოკრუგში სულ 52.547 (36.352+16.195) მეგრელი (ე. ი. ქართველი) ცხოვრობდა, რისი აღიარებაც კოლონიურ ხელისუფლებას არ სურდა; ბ) მტკიცება, რომ 1900 წლის I იანვრისათვის სოხუმის ოკრუგში მეგრელების გარდა სულ 12 ქართველი (6 ქართველი, 3 იმერელი, 3 გურული) ცხოვრობდა, სასაცილოა თვით იმავე ავტორის სხვა ცნობების წყალობით: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გარკვევით აღნიშნავს, რომ 1900 წლისათვის მარტო ქ. სოხუმში მეგრელების გარდა 1500 ქართველი (1300 იმერელი, 200 ქართველი) ცხოვრობდა. თუ მარტო ქ. სოხუმში მეგრელების გარდა 1500 ქართველი ცხოვრობდა, მაშინ მთელ სოხუმის ოკრუგში მეგრელების გარდა 12 ქართველი როგორღა იცხოვრებდა? სტატისტიკური მასალა აშკარად, მიზანდასახულად გაყალბებული, ამავე დროს გაყალბებულია უჭკუოდ. გ) 1900 წლის 2 სექტემბრის მოხსენებაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ასეთი სტატისტიკური მასალა მოაქვს: „Население Сухумского округа представ-

აქ გულისხმობს). კერძოდ, ყველამ იცის, რომ ჯერ კიდევ დასამტკიცებელია, ვინ არიან, ვისი შთამომავლები არიან დღევანდელი აფხაზები (აფსუები). მეორე მხრივ, ყველამ ასევე კარგად იცის, რომ ქართველები (უძველეს ეპოქაში — ქართული ტომები) აქ ყოველთვის ავტოქთონურ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. ასეა ბერძნული, სომხური, სპარსული, თურქული, ევროპული წყაროების მიხედვით. ეს იმდენად გადაღეჭილი თემაა, რომ ამჯერად მივუთითებთ მხოლოდ არაბულ ტრადიციებზე. არაბულ ისტორიულ და გეოგრაფიულ წყაროებში ტერმინი აბხაზ/აბხას ქართველს ნიშნავდა და ეს სრულიად ბუნებრივია; ასეა იაჰია ანტიოქიელთან, ასეა სხვებთან. სოხუმი ქართველთა ქალაქად იწოდებოდა და ესეც სრულიად ბუნებრივია; ასეა აბუ ლ-ფიდასთან, ასეა სხვებთან. ასე არ არის მხოლოდ იმათთან, ვინც დღეს თხზავს ისტორიას, ხოლო თხზვა ანუ ფალსიფიცირება, როგორც ვხედავთ, ახალი ისტორიის იმ დროიდან იწყება, როდესაც იწყება საქართველოსგან მისი ორგანული ნაწილის — აფხაზეთის ჩამოცილების იდეის პრაქტიკული ხორცშესხმა.

3. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი 1900 წლის 3 აგვისტოს მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ქართული პარტიის წევრების წერილებში "доказывались необходимость и польза обучения абхазского населения грузинскому языку, грузинской письменности и воспитания его в грузинском духе". ეს მართლაც იყო დანაშაული, რადგანაც თედო სახოკიას მოსაზრებების განხორციელების შემთხვევაში კოლონიური პოლიტიკა შედეგს ვერ მიაღწევდა — აფხაზებს ვერ გაარუსებდა; ასიმილირება მაშინ იქნებოდა ადვილი, თუ აფხაზებს ქართულ სამყაროს, ქართულ ენას, ქართულ კულტურას მოსწყვეტდნენ. სამხედრო გუბერნატორი 1900 წლის 2 სექტემბრის მოხსენებაში პირდაპირ წერს: "Русская колонизация округа имеет для него большое государственное значение в политическом отношении. Абхазцы составляющие главную массу населения округа, до сих пор представляют из себя народность крайне мало культур-

რომ აფხაზებმა რუსული არ იცოდნენ, ქართულს და მეგრულს კი ტრადიციულად ფლობდნენ და ამიტომაც არსებობდა მოთხოვნა ეკლესიებში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აღსრულების შესახებ.

6. სამხედრო გუბერნატორი 1900 წლის 3 აგვისტოს მოხსენებაში იძულებულია დაიცვას სოხუმის ეპისკოპოსის არსენის უკანონო გადაწყვეტილება სოხუმის ეკლესიებში ღვთისმსახურების რუსულ (საეკლესიო-სლავეურ) ენაზე აღსრულების შესახებ: "Дело в том, что последний (არსენი — ა. ს., ვ. გ.) зная о всех стремлениях организованной Сахокия грузинской партии и исходя из того положения, что государственным языком в церквах, правительственных и общественных учреждениях должен быть русский, а не грузинский язык, обязан был отдать распоряжение о совершении богослужения в храмах гор. Сухума, как средоточии высшей в округе и епархии власти, только на церковно-свальянском языке". რუსეთის ეკლესიის სინოდის 1898 წლის 3 სექტემბერის ბრძანებულებით, იმ ეკლესიებში, რომლის მრევლს მეგრელები (ე. ი. ქართველები) შეადგენდნენ, ღვთისმსახურება ქართულ ენაზე უნდა აღსრულებინათ. ქალაქ სოხუმის მოსახლეობას ეროვნული შემადგენლობის სტატისტიკა, თვით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ცნობით, ასეთი იყო: სოხუმში 1900 წლისათვის ცხოვრობდა 1658 მეგრელი (ე. ი. ქართველი), 1300 იმერელი (ე. ი. ქართველი), 200 ქართველი და 100 აფხაზი, ე. ი. სულ სოხუმში 3158 ქართველი და 100 აფხაზი ცხოვრობდა. მაშ ვისთვის ადასრულებდნენ სოხუმის ეკლესიებში ღვთისმსახურებას რუსულად? თუ კი სოხუმში არაქართული მოსახლეობა აბსოლუტურ უმცირესობას წარმოადგენდა (100 კაცი)? სოხუმის ეკლესიებში ღვთისმსახურების რუსულ ენაზე აღსრულების შესახებ გადაწყვეტილება არც რუსეთის ეკლესიის უწმინდეს სინოდს და არც საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას არ მიუღიათ. სოხუმის ეპისკოპოსი აშკარად თვითნებობდა.

7. თედო სახოკიას კორესპონდენცია გაზეთ „სანკტ-პეტერ-ბურგსკიე ვედომოსტში“ 1900 წლის 1 ივლისს დაიბეჭდა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის პირველი მოხსენება 1900 წლის 3 აგვისტოთია დათარიღებული. როგორც მოხსენებიდან ჩანს, სამხედრო გუბერნატორს მოუსწრია და 1900 წლის 28 ივლისს კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მართებლის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს ქართული პარტიის წევრების – თედო სახოკიას, ანთიმოზ ჯუღელის, ივანე გეგიას, გრიგოლ კანდელაკის, ივანე ბურჭულაძის, ფარნა დავითაიას და სპირიდონ ნორაკიძის სოხუმის ოკრუგიდან გადასახლების შესახებ, მაგრამ ვერ დაუდგენია კორესპონდენციაში მოტანილი შემდეგი ფაქტების ჭეშმარიტება: ა) ნამდვილად დაიკარგა თუ არა ქართული სახარება სოხუმის ეკლესიიდან; ბ) მართლა ჰქონდა თუ არა ადგილი სოხუმის ეპისკოპოსის წინდაუხედვე მოქმედებას – კათოლიკეთა მართლმადიდებელი სარწმუნოებაზე მოქცევის შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას; გ) რა ინციდენტი მოხდა გენერალ-ლეიტენანტ შერვაშიძის ქვრივსა და სოხუმის ეპისკოპოს არსენის შორის. ამ საკითხების გარკვევას ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, როგორც მოხსენებაშია მითითებული, მომავალში აპირებდა. ყველაფრიდან, კიდევ ერთხელ, ირკვევა, რომ თედო სახოკიას კარგად გამიზნულ მოქმედებას რთულ მდგომარეობაში ჩაუყენებია ადგილობრივი ადმინისტრაცია – მას თავის გასამართლებელი არგუმენტები უნდა მოენახა. ერთი თვე სამხედრო გუბერნატორს უფიქრია, მაგრამ თავის დაძვრენის გზისათვის ვერ მიუგნია. მეორე მოხსენებაში, რომელიც 1900 წლის 2 სექტემბერს (ე. ი. თითქმის ერთი თვის შემდეგ) არის შედგენილი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი დაპირებას ივიწყებს და წინა მოხსენებაში ჩამოთვლილი სამი საკითხის შესახებ სიტყვასაც არ ძრავს. როგორც ჩანს, გუბერნატორი ფრთხილობდა, არ უნდოდა სოხუმის ეპისკოპოსის არსენის წინდაუხედავი საქციელის გამო რაიმე ხიფათში გახვეულიყო. გარდა ამისა, გუბერნატორმა კარგად იცოდა, რომ კათოლიკე ქრისტიანების მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევის შან-

სის ხელიდან გაშვებას რუსეთის უწმინდესი სინოდი რეაგირების გარეშე არ დატოვებდა, ამიტომ არ ჩქარობდა. რაც შეეხება სახარების დაკარგვას, აგრეთვე გენერალ შერვაშიძის ქვრივსა და ეპისკოპოს არსენს შორის მომხდარ ინციდენტს, მათ კავკასიის კოლონიური ხელისუფლება, როგორც ჩანს, მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ დაუთმობდა. მოგვიანებით, 1904 წლის მარტში, კავკასიის მხარის სამხედრო-სახალხო მმართველობის კანცელარიამ სოხუმის ეპისკოპოსი მაინც გაამართლა კათოლიკე ქრისტიანების მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევის შანსის ხელიდან გაშვების საქმეში, ეპისკოპოსი გაამართლეს გენერალ-ლეიტენანტ შერვაშიძის ქვრივთან ინციდენტშიც. საქმის ვითარება ამ შემთხვევაში ალბათ მთლიანად გაყალბებული იქნებოდა.

* * *

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის 1900 წლის 3 აგვისტოს მოხსენებაში, ნებსით თუ უნებლიეთ, რამდენიმე ისტორიული სიმართლეა გაპარული. დღევანდელი პოზიციებიდან აქტუალურია ის ადგილები, რომლებიც სოხუმის ოკრუგსა და მის შემადგენელ ერთეულებს ეხება. გაცილებით გვიან აფხაზმა ისტორიკოსებმა გააიგივეს სოხუმის ოკრუგი და აფხაზეთის სამთავროს ისტორიული ტერიტორია. სოხუმის ოკრუგის საზღვრები კარგადაა ცნობილი, სამაგიეროდ ბევრი პრობლემა წარმოიშვა აფხაზეთის სამთავროს საზღვრების დადგენისას, კერძოდ, პოლემიკის საგანი გახდა საკითხი: შედიოდა თუ არა სამურზაყანო (დღევანდელი გალისა და ოჩამჩირის რაიონები) აფხაზეთის სამთავროში. კავკასიის კოლონიური ხელისუფლებისათვის, კერძოდ, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის, არსებობდა ერთი ადმინისტრაციული ერთეული — სოხუმის ოკრუგი. მაგრამ თვით ოკრუგში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ორ ერთეულს — აფხაზეთს (ე. ი. აფხაზეთის სამთავროს ისტორიულ ტერიტორიას) და სამურზაყანოს (ე. ი. სამურზაყანოს ისტორიულ ტერიტორიას) ხელავდა. ცნებები

„აფხაზეთი“ და „სამურზაყანო“ ასეთ კონტექსტშია მოხსენებული: „Поставив себе целью воспрепятствовать мерам правительства сблизить коренное население Абхазии и Самурзакани с русским...“ სამურზაყანო რუსი მოხელისათვის აფხაზეთის ნაწილი რომ ყოფილიყო, მას აფხაზეთის გვერდით სოხუმის ოკრუგის შემადგენელ ნაწილად არ მოიხსენებდნენ.

პროვინციის ცხოვრება

აფხაზეთი

საქართველოში 1887 წ. ხელახლა აღდგენილ იქნა სოხუმის ეპარქია, და ამ აღდგენილს ეპარქიას საკუთარი ეპისკოპოსიც დაენიშნა. სამუშაო და გასაკეთებელი ამ ეპარქიაში ბევრი იყო და არის ახლაცა. ქრისტეანობა, მეოთხე საუკუნიდან ისეთის სიძლიერით გავრცელებული ჩვენთა წინაპართა მიერ, სხვა-და-სხვა ისტორიულ გარემოებათა მეოხებით აფხაზეთში სულთმობრძავი შეიქმნა. აფხაზნი, ეს უძველესნი მსახურნი და მშოსავნი ქრისტეს მოძღვრებისა, ცხოვრების საზოგადო მიმდინარეობის გარეშე დარჩნენ, თავისს ერთმორწმუნე ძმებს — ქართველებს — ჩამოეცალნენ. ოსმალთ თითქოს კიდეცა სცადეს თავიანთი ზედგავლენა ჰქონოდათ ამ მხარეზე, თითქოს კიდეც გაამაჰმადიანეს ეს ნაწილი საქართველოსიო.

მაგრამ აფხაზნი უფრო კი ორ წყალ შუა დარჩნენ. — დაჰკარგეს წინაპართა სარწმუნოება; ამავე დროს ველარც მაჰმადის სარწმუნოებამ მოიკიდა მათს შორის ფეხი. თუ დღევანდელი აფხაზი მაჰმადიანად თავისს თავსა რაცხს, მხოლოდ იმ საბუთით, რომ ღორის ხორცს არა სჭამს და ერიდება ღვინოსა. ამ გარეგნულის წესის იქით არც მიდის და იმის მეტი არცა სწამს-რა ამ ბუნების შვილსა. იგივე მაჰმადიანი აფხაზი, მამა-პაპათა ანდერძის გამო, სასოებით ეპყრობა ძველ ეკლესია-ტაძრებთა ნანგრევებს, რომლებითაც მოფენილია მთელი მისი ქვეყანა; იმავე მაჰმადიან აფხაზსა სწამს ძლიერება ჩვენის ეკლესიის ზოგიერთთა წმინდანთა, როგორც მაგ. წმ. გიორგისა, მიქელ-გაბრიელისა, ილია წინასწარმეტყველისა და ზოგ კიდევ სხვათა.

აი, ამ მხარეს, ამ სარწმუნოებრივად გადაბირების გზაზედ მოსიარულე მხარეს, ეჭირვებოდა დროზე მიშველება, გულწრფელი, მამობრივი პატრონობა; აი, ამ მხარეში უნდოდა დაცემულს სარწმუნოებას ფეხზე წამოყენება.

ამ მოკლე ხანში სოხუმის ეპარქიამა ოთხი მღვდელ-მთავარი გამოიცვალა: ზოგი მათგანი ადრე გარდაიცვალა, ზოგიც, გადმოყვანისათანავე, ისევ სხვაგან გადაიყვანეს. არც ერთს მათგანს არ დასცალდება დაახლოვებით გაცნობა აფხაზებისა, ამათის ენისა, ზნისა, ჩვეულებისა... არ დასცალდათ გამოეკვლიათ მიზეზი დაცემისა ერთს დროს აყვავებულის სარწმუნოებისა აფხაზთა შორის და ამ მიზეზის ასაცილებლად და ქრისტეს სარწმუნოების თვისს დონეზე ჩასაყენებლად სათანადო დონე ეღონათ, შესაფერი საშუალება ეხმარათ.

ეს კია, რომ 19 ათასზე მეტი სული აფხაზი, სრულიად მოუმზადებელი ქრისტეს სჯულის ხელახლა მისაღებად, სრულიად უვიცი, დაახლოვებით მაინც, ამ სარწმუნოების სულისა და გულისა, მდ. კოდორსა და გუმუსტაში მონათლულ იქმნა. 1889 წ. ამ ახლად-გაქრისტიანებულ აფხაზთა ერთ-ერთ სოფელში ვიყავ და შევნიშნე, რომ ახლად მონათლულნი დარწმუნებულნი იყვნენ — თუ მარხვაში ლობიო და ხსნილში — ღორის ხორცი ვსჭამევით, ნამღვილი ქრისტეანები ვიქმნებითო...



ამავე დროს, ე. ი. სოხუმის ეპარქიის აღდგენისათანავე, ქრისტეს მოძღვრების ხელახლა გავრცელების მსურველთ იფიქრეს: თავი-და-თავი მიზეზი აფხაზეთში ქრისტეანობის დაქვეითებისა — ქართული ენა არისო, რადგან ეგ ქართული ენა მკვიდრთ არ ესმისთო, სწორედ ის ქართული ენა, რომლითაც ჩვენნი წმ. მამანი აფხაზთ ქრისტეს მოძღვრებას უქადაგებდნენ ბიჭვინტისა, ლიხინისა, მოქვისა, დრანდისა, ფსირცხისა (აწინ-

დელი ახალი-ათონი), ბედიისა, ილორისა და აფხაზეთის სხვა ტაძრებში. ამ სახით, ათვალისწუნებული იქმნა ქართული ენა აქაურს ეკლესიებში. სარჩლი კი ველარაენ გაუწია ამ აფხაზეთათვის მოამაგესა და ღვაწლ-მოსილსა ენასა.

II

პირველად ამ ზემოხსენებულ ათვალისწუნების სიმწარე გამოსცადა თვით ქალაქ სოხუმის სასაფლაო ეკლესიამა; სწორედ იმ ეკლესიამა, რომელსაც, თუ სადმე სამართალია, უნდა ასცდენოდა ასეთი რისხვა.

მოკლედ მოგითხრობთ ამ ეკლესიის ისტორიასაცა.

ორმოც-და-ათიანსა და სამოციანს წლებში ეპისკოპოსად აფხაზეთში ბრძანდებოდა მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა აწინდელი გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე. სამოციანს წლებში სოხუმში მცხოვრები ქართველობა უეკლესიოდ იყო დარჩენილი. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ მიაპყრო თვისი მღვდელ-მთავრული მზრუნველი თვალი თვისთა სულიერ შვილთა ამ უნუგეშო მდგომარეობასა და, მათისავე დახმარებით, აღაშენა აწინდელი სოხუმის სასაფლაო ეკლესია, თან საკუთარი მღვდელიც დაუნიშნა.

მას აქეთია, ხსენებულს ეკლესიაში ქართულად იყო წირვა-ლოცვა. 1887 წ. ამ ეკლესიის მღვდელი ტიმ. საზოკია გარდაიცვალა. ამავე წელს განახლებული ეპარქია დაწესდა. ხსენებულს ეკლესიას 1889 წლამდე კიდევა ჰყავდა სხვა საკუთარი მღვდელი, და მრევლს დედა-ენაზე წირვა-ლოცვა ათასში ერთხელ მაინც ესმოდა.

1889 წელს კი სასაფლაოს ეკლესიის მღვდელი სხვაგან გადაიყვანეს, ხოლო ეკლესია, მას დღიდან მოყოლებული, დღემდე გაუქმებულსავითაა დაშთენილი. თუ ოდესმე ეკლესიის კარები გაიღება, მხოლოდ იმიტომ რომ მრევლისათვის გაუგებარს ენაზე სწირონ-ილოცონ. მრევლმა დრტყინვა დაიწყო,

უწირვოდა ვრჩებით და მაშინაც კი, როცა, წყალობასავით, ეკლესიის კარები გაგვეღება, მღვდლისა ჩვენ არ გვესმის და ჩვენი კიდევ — მღვდელსაო.

სოხუმელებმა აქაურის მოქალაქეს აზნაურის პეტრე ივანეს ძე ბარკალაიას მეთაურობით შესჩვილეს თვისი გაჭირვება ვისაც ჯერ იყო და მამობრივი ნუგეშისცემა სთხოვეს: ამდენის ხნის ქრისტიანათ უღვდლოდ ნუ დაგვეყრიოთ, უზიარებლად ნუ ამოგვხდით სულსაო. უწინდებურად, საკუთარი მღვდელი დაგვინიშნევით, — ჩვენს მღვდელს ჩვენისავე ხარჯით შევიინახავთ, სხვას არავის შევაწუხებთო.

კანონიერი მუდარა უნდა ყოფილიყო. ასე გამოთქმული თხოვნა-ვედრება სოხუმელთა, და სხვა უიმათოთათვის თხოვნა უნდა აესრულებინათ. მაგრამ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. სოხუმელთა, ჩვენის აზრით კანონიერი, თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული, არ მიეცა გზა ამ აჯასა; და, ამ სახით, ქრისტეს ბრძანება და მისთა მოციქულთა მოქმედებით გაკვლეული გზა სარწმუნოების გავრცელებისა და ღვთის მოსაობისა უყურადღებოდ დარჩა...

სოხუმელები შეძრწუნდნენ და, ბოლო, იმითი ინუგეშეს თავი: „ეკლესიის გარეშეც შეიძლება კაცმა ღრმეთი აღიღოსო“...

დღეს, გარდა ამისა, რომ სასაფლაოს ეკლესიაში სლაუურს ენაზეა (ისიც, როგორც ზევითა ვსთქვით, ათასში ერთხელ), თვით წირვა მეტად ადრე დგება და მეტად ადრევე თავდება. მღვდელმა წირვა ამ ეკლესიაში უეჭველად ათის ნახევრამდე უნდა გამოიყვანოს. ამ ღრომდე კი ქალაქის დასავლეთ მხარეს მცხოვრები მრევლი მარტო ეკლესიამდე მისვლას უნდება და როცა მივა, წირვა უკვე გამოსულია და ეკლესიის კარები დაკეტილი. მეტი რა ჯანია, ისევ სოხუმის საკრებულო ტაძარს უნდა მიჰმართოს მრევლმა, სადაც, ტაძრის აგებიდანვე, ქართულად წირვა-ლოცვა არავისა სმენია.

სოხუმელებს იმედი ჰქონდათ წარსულ აღდგომას ამ საკრებულო ტაძარში სახარების სიტყვებს მაინც გაიგონებდნენ დედაენაზე. წაკითხულ იქმნა ტაძარში იმ დღეს სახარება სლა-

კურსა, ბერძნულსა და ლათინურს ენებზედა, ხოლო ქართული არავის მოჰგონებია. ღვთის სადიდებლად თავ-მოყრილმა ხალხმა პირველში გამოსვლაც კი დააპირა ეკლესიიდან, ამ ბრწყინვალე დღესასწაულის ხათრი რომ არ შეენახა. — „ვინ ამბობს, კარგია ბერძნულისა და ლათინურის, ამ კლასიკურის ენების გაგონება; მაგრამ ქართულად, დედაენაზე, სახარების სიტყვების მოსმენა კი საჭიროა და სასურველიცაო, ისიც აღდგომა-სა, ამ დღესასწაულთა დღესასწაულის დღეს, ოდეს ყოველივე მდაბალი გრძნობა, მდაბალი აზრი, მტრობა ადამიანის გულიდან განდევნილი უნდა იყოს, და ოდეს ამ ქართულის მეტი მლოცველთ სხვა ენა არ ესმითო“. აი, ამას გაიძახოდა ტაძარში ღვთის სადიდებლად მოზღვაკებული ხალხი.

ამჟამად სოხუმში ხელის-მოწერით ფული ჰგროვდება საკუთრად ქართველებისათვის ეკლესიის აღსაშენებლად. ამ აზრით, ფულის მოგროვებას სოხუმელები დიდის აღტაცებით მიეგებნენ, და ფულის მოგროვების საქმე საოცარის სისწრაფითაც მიდის. მოკლეს ხნის განმავლობაში ას-ორმოც-და-ათი თუმანი მოაქუჩეს. ფრიად სანუგეშია ეგ ფაქტი, მაგრამ სანუგეშოა იმიტომ კი არა, რომ ერთს თვეში ას-ორმოც-და-ათი თუმანი მოაქუჩდა, — არა, უფრო სხვა გვახარებს, უფრო სხვა გვიღვიძებს იმედსა: ამ საქმეში მონაწილეობა ისეთებმაც კი მიიღეს, რომელთაც სხვა დროს, სხვა საზოგადო საქმეში, ჩხირიც კი არ გადაუბრუნებიათ.

სრული იმედია, ამ საშვილიშვილო საქმისათვის საჭირო თანხას სოხუმელები მალეც მოუყრიან თავსა და ამდენის ხნის გულისწადილს აისრულებენ, მაგრამ... მაგარიცა და რბილიც ის გახლავთ, რომ ვაი თუ ამდენმა ტანჯვამ, თავ-გამოდებამა, ხარჯმა ჩაილულის წყალი დალიოს... ჩვენი შიში ღმერთმა კი ნუ გაამართლოს!... იმასღა ვინატრით, სოხუმელებმა დაწყებული ს საქმეს თავი გამოაბან და თავისი გაიტანონ.

ახლა მივმართოთ დაბა-სოფლებსა.

სოხუმში თუ რამ გაჭირვებაა, მადლობა ღმერთს, ხმის ამომღები მაინც მოიპოვება ვინმე. დაბა-სოფლები კი, როგორც ყველგან, აფხაზეთში სრულებით უპატრონოდაა. სოფლებით თუ გაჭირვება ადგიათ, ამ ვარამს გულშივე იკლავენ, ვერ ძალუბთ ამ გაჭირვებას მიზეზი გამოუძებნონ, წამალი აღმოუჩინონ, ან ვისმე შესჩივლონ თვისი დავრდომილი მდგომარეობა და შეველა-დახმარება სთხოვონ; ხშირად, განსაცდელში არიან და ისიც კი არ ესმისთ, რომ ილუპებიან, — ისე დიდია სიბნელე გონებითი მათს შორის.

ბიჭვინტისა, ფსირცხისა (ახალ-ათონი) და დრანდის ძველისძველ მონასტრებს რუსის ბერ-მონოზანნი დაეპატრონენ, ოსმალეთის ქვეშევრდომნი. ამ ტაძრებში ამ უამად ქართულად წირვა-ლოცვის ხსენება აღარც-კია, თითქო არც ქართველი მლოცველები დადიოდნენ აქა და არც ყოფილიყოს ოდესმე აქ წირვა-ლოცვა ქართულადა!... სიცილადა არა ჰყოფნით ამ ბერ-მონოზნებსა, ქართულად წირვა-ლოცვა რო გაუხსენოთ. „განა ბუსურმანულს (ეს იგი ქართულს) ენაზე ღვთის დიდება შეიძლებაო?!“...

ამ ზემოხსენებულს ტაძრებში ქართულს ენაზე წირვა-ლოცვის უარყოფა ისე არ გაგიკვირდებათ, როცა მაგვარსავე უარყოფას შეამჩნევთ აფხაზეთის სხვა მივარდნილს კუთხეებში, სადაც ერსაც ქართულის მეტი სხვა ენა არ ესმის და მღვდლის მოქმედებაც თითქმის უკანტროლოა; როცა დაინახავთ, ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი ხალხის ღვიძლი შვილი, ჩვენი სულიერი მამა, რომელსაც მინდობილი აქვს ჩვენი სულიერად განსაქტაკება, გონებით აღმალლება, რომელსაც მინდობილი აქვს განმტკიცება ჩვენი ქრისტეს მოძღვრებითა, — რაგვარის გულმოდგინეობითა, რაგვარის ერთგულებითა უარჰყოფს ჩვენს ღედა-ენას სწორედ იქ, სადაც უმაღლესი სასულიერო მთავრობა ამის წინააღმდეგია; ვამბობთ, როცა ყოველსავე ამას

დინახავთ, დააკვირდებით, — ჯერ თქვენს თვალებსა და ყურებს არ დაუჯერებთ და გაიოცებთ, მერე გული უნდა მოგიკვდესთ, თუ კი გული იგი, ოღნავაც არი, ჰგრძნობს რასმე... ბოლოს გაბოროტებულს, არ გეცოდინებათ, რამ ჰქმნათ, ვის რა უთხრათ...



დ. ოჩამჩირეში, სადაც ქართველობა 95%-ია, წირვა-ლოცვა, თუ ყოველთვის არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც, მუნებურს ეკლესიაში სლაეურადაა. როცა გაზეთის საშუალებით ეგ ამბავი გამოაშქარავდა და თვით იქაურის მღვდლის სახელიც გამოცხადდა, ეს სულიერი მამა მიიჭრა ვისთანაც ჯერ იყო და შეჭლადადა, — ვერთგულობდი, სლაეურადა ეწირავდი და ამისათვის გაზეთში გამკილესო. თქვენს მფარველობას ვითხოვო. წარმოიდგინეთ ამ სულიერ მამის განცვიფრება, როდესაც ამ თვისის ერთგულებით მადლობის მაგიერ... საყვედურიც დაიბსახურა: — „ვინ გითხრათ სლაეურად სწირევითო?!...“

ჩვენ უფრო ის გვაკვირებს, რომ ასეთის შემთხვევის შემდეგაც წინანდელი წესი ოჩამჩირეში უცვლელადა რჩება. ეკლესიის მედავითნემაც ქართული არ იცის. საზოგადოება სწუხს: წირვა-ლოცვა რაღად გვინდა, თუ კი ვერაფერს გავიგონებთო!..

ოქუმში უარესია წირვა-ლოცვის საქმე. მედავითნემ ქართული კითხვა არ იცის, ასე რომ მღვდელი ქართულადა სწირავს და მედავითნე სლაეურს ენაზე ეხმარება.

IV

ოჩამჩირესა და ოქმუში არიან მაინც ისეთნი (ასში ერთი), რომელთაც სლაეურ წირვა-ლოცვისა ესმისთ რამე. მაგრამ

რალსა ბრძანებთ ისეთს სოფლებისას, სადაც სლავური მარტო იმას თუ ესმის, ვინც სწირავს?! ასეთი სოფლები გახლავსთ მთლად სამურზაყანოს სოფლები, სადაც უმრავლესობა მღვდლებისა სლავურადა სწირავენ. სლავურად მხოლოდ ის მღვდლები არ სწირავენ, რომელთაც ეს ენა არ უსწავლიათ და იმ დროს უკურთხებიან, როდესაც ქართულს ენას პატივი არა ჰქონია აყრილი.

ან კიდევ რასა ბრძანებთ შემდეგის მაგალითისას?

ძნელად დასაჯერებელია, თვით მე არა მჯეროდა, როცა პირველად გავიგევი. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, სრულს ჭეშმარიტებას მოვახსენებთ, უმეტ-ნაკლებით, უფერ-უმარილოდ.

სოფელს გუდავაში (სამურზაყანოში) მრევლი მთლად მეგრელობაა, რომლისათვისაც ქართული ენა უცხო არ არის, არავინ გვიჯერებს თორემ. მაგრამ მე ამას იმათ მოვახსენებ, ვისთვისაც ჩემი ნათქვამი კედელზე ცერცვის შეყრა არ იქნება. ერთი წელიწადია, ზემოხსენებულს სოფელში მღვდლად ახალგაზრდა კაცი, მამა გიორგი საჯაია, გაუმწესებიათ. თვითონ გვარი ამტკიცებს, რომ მამა საჯაია სამეგრელოს შვილია, მამასადამე, კანონით, ქართველის ტომისა. მისისავე თხოვნით მედავითნეთ ამ სოფელში ვინმე ბაღიშვილი დაუნიშნავთ, ფსირცხის ერთ-კლასიან სკოლაში კურს-დამთავრებული, მამასადამე, ქართულის უცოდინარი.

ორივე მღვდელ-ღიაკვანი ეს ერთი წელიწადია სლავურად ასრულებენ ეკლესიაში მღვდელ-მოქმედებასა. მრევლს, რა თქმა უნდა, არაფერი ესმის, მაგრამ უნებურად ემორჩილება თავისს ბედსა. თანაც ჰკვირობს, ე რა დროს შევესწარით... მღვდელ-ღიაკვანი ამ უცხო ენაზე, ნეტა, რას გველაპარაკებაო?... ბოლოს, სულაც აიღეს ხელი ეკლესიაში სიარულზე.



ამ რამდენიმე ხნის წინად მამა გ. საჯაია პირადად გავიცანი. ფრიად საინტერესოა ეგ სულიერი მამა, მით უფრო რომ

იგი არის ტიპი, საზოგადოდ, აწინდელის მღვდლებისა, რომელნიც იღვწიან აფხაზეთ-სამურზაყანოში ქრისტიანობის აღსადგენად...

ჩვეულებრივის მისაღმება-მოკითხვის შემდეგ, კკითხვევი მამა საჯაიას.

— გავიგე, გუდავაში მეგრელებს სლაეურად უწირავთ და, ნეტა, მართალია ეგ, მამაო?

— ქართული არ იციან, და სლაეურად იმიტომაც ვსწირავ.

— მამაო... რასა ბრძანებთ... მეგრელმა, რომელსაც სლაეური სიზმარშიაც კი არ გაუგონია, იმ მეგრელმა, რომელიც ლაპარაკის დროს ყოველს ხუთს სიტყვაში სამს წმიდა ქართულს სიტყვას ურევს, — როგორ უნდა გაიგოს სლაეური ქართულზე, მის დედა-ენაზე, უკეთესად-მეთქი?!

ლაპარაკს შევეყვით და გამოირკვა, რომ ქართულად წირვა-ლოცვის შესრულება მამა საჯაიას თურმე არც კი სცოდნია...



ორს ნიმუშსაც მოგახსენებთ აქაურის ვითარების დასასურათებლად.

ერთმა მღვდელმა, მარ-იამ, სხვის გავლენით და წაქეზებით, განიზრახა მთელი წესი მღვდელ-მოქმედებისა აფხაზურს ენაზედ ეთარგმნა. ერთმა ინტელიგენტთაგანმაც მამა მარ-ნიას თითქო მხარი მისცაო, და, ალბად აფხაზების მიმართ გულმტკივნეულობით, აფხაზური ანბანიც კი შეადგინა. მაგრამ ორსავე გოლვა დაუდგა... ალბად, მალე დარწმუნდნენ (ესეც კარგი ღვთის წყალობაა!...), რომ მათს მოქმედებას ნიადაგი არა ჰქონდა ფეხის მოსაკიდებელი.

მამა ბლალოჩინინი სოხუმის ეპარქიისანი მღვდლებთან საქმის ქაღალდებს რუსულად დაწერილებსა ჰგზავნიან. იმას კი არა ჰკითხულობენ ე დალოცვილი შვილნი, იციან თუ არა ეს

ენა იმ მღვდლებმა, რომელთაც რუსულადა სწერენ და რომელთაგანაც რუსულადვე პასუხს თხოულობენ?!

V

ახლა თვალი გადავავლოთ აფხაზეთ-სამურზაყანოს სკოლებსა.

ეკლესიებში მისუსტებულს ქართულს ენასა, რა თქმა უნდა, აღარც სკოლებში ექმნება მოსვენება. ვისაც კი შეუძლია და ხელი მიუწვდება, თავზე კაკალს ამტვრევენ ამ ენასა. ციხე უფრო კი შიგნიდანა სტყდება; ითვალისწინებენ ქართულს ენასა, თვალში ეკლადა აქვსთ სწორედ ისეთებსა, ვისგანაც ყველაზე ნაკლებ მოველოდით ასეთსა სიძულვილსა და ზურგის შებრუნებასა. არა გექომაგობენ, არ თანაგვიგრძობენ ჩვენივე ღვიძლი შვილები, ჩვენივე სისხლი და ხორცი.

აფხაზეთ-სამეგრელომს სამინისტრო სკოლებში, ეს უკანასკნელი რამდენიმე წელიწადია, ბ-ნ ლევიცკის უცნაურ სახელმძღვანელომს წყალობით გონებითად დაჩლუნგება ბავშვებისა სისტემატიურად სწარმოებს, ამ უკუღმართსა და ანტიპედაგოგიურს მიმართულებასა წინ აღარ ეღობება-რა, ხელის შემშლელი არაინა ჰყავს. ხოლო, როგორც მოგეხსენებათ, ბ-ნ ლევიცკის სახელმძღვანელო სადაცაა, იქ ქართულის ენის ჭაჭანება არ არის.

ერთად-ერთ სამრელოსა და „კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ დაარსებულ სკოლებში კიდევ ეღა სული ქართულს ენასა; დედა-ენაზე ხელის მოწერას მაინც სწავლობდნენ ბავშვები ამ სკოლებშია. მამა ამბროსი კავკასიძემს შემდეგ აფხაზეთ-სამურზაყანოში „ქრისტ. გამავრც. საზოგადოების“ სკოლების ზედამხვედველად დაპინშნეს მღვდელი კავჯარაძე. ქართულს ენას სწორედ მამა კავჯარაძის ზედამხვედველად დანიშნის შემდეგ დაადგა შავი ორშაბათი ამ სკოლებში.

ახალს თანამდებობაზე დანიშნვისათნავე, ამ სულიერმა მამამ, არ ვიცით, რა ზნეობრივის ან იურიდიულის უფლებით, თვისს დევიზად შემდეგი სიტყვები გაიხადა: „დათრგუნვა ქართულის ენისა ჩემს საზედამხედველო სკოლებშია“. ერთს მხარეს დამკლავებული მამა კავჯარაძე დადგა, მეორე მხარეს — მთელის სამურზაყანოს სკოლები, და დაემუქრა პირველი მეორეთა: „ქართულის სახსენებელს მოვსპობ ყველგანაო!“...



პირველი მსხვერპლი მამა კავჯარაძესი — ოქუმის სკოლის მასწავლებელი, ივანე გეგია, შეიქმნა, — კაცი ერთგული თვისის საქმისა, ყოვლად უანგარო, ყველასი საყვარელი და ყველასაგან პატივცემული. ეს მასწავლებელი თავისის თანამდებობიდან მაშინვე იქმნა გადაყენებული, როგორც კი მამა კავჯარაძე აქეთკენ გაჩნდა. ქართული არ უნდა გესწავლებინა სკოლაშიო, სწორედ იმ სკოლაში, რომლის პროგრამაში ქართულს ენას პირველი თუ არა, უკანასკნელი ადგილი მაინც უჭირავს.

ამავე დროს სხვა სკოლებშიაც მკაცრი განკარგულება მოახდინა მამა კავჯარაძემა — ქართული არამც-და-არამც არ ასწავლოთო. რაც მამა კავჯარაძის საძულვილი ქართულის ენისადმი საქვეყნოდ გამოცხადდა, ჩვენ გვეგონა, მამა კავჯარაძე თავისს მოქმედებას დაუკვირდებოდა, საგონებელს ჩაჰვარდებოდა. ეს კი არა, უარესის კადნიერებით აპირებს ამ გზით სიარულსა, ჯერ-ჯერობით სხვისაგან ზურგმომავრებული.

VI

მაგრამ, კიდევ მაღლობა უფალსა, რომ ჩვენს სამღვდლოებაში ისეთებიც ურევინ, რომელთაც კავჯარაძისებურის გზისა

და მიმართულების სიავ-კარგე იციან და სიკეთეს შესაფერის სიკეთითვე გადუხდიან მისის ჯურის ხალხსა...

19-20 ენკენისთვის, როგორც მოგეხსენებათ, ქ. სოხუმში კრება იყო სოხუმისა და ჩერნოგორიის ოლქების ბლალოჩინთა. ეს კრება მოწოდებულ იქმნა სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო რჩევის მიერ, სხვათა შორის, ასარჩევად საოლქო ზედამხედველებისა სამრევლომსა და წერა-კითხვის სკოლათათვის. ჯერ კენჭის ყრით აირჩიეს კანდიდატები. ამ არჩევნების დროს, სხვათა შორის, მამა კავჯარაძესაც უყარეს კენჭი: ამოუვიდა 7 შავი და 2 თეთრი, გარნა მისს მოპირდაპირეს, რუსის მღვდელს — ორი შავი და შვიდი თეთრი. ჩვენებურმა მღვდლებმა სთქვეს თურმე: „დეე, უცხომ გაგყვიდოს, ვიდრე ჩვენმა სისხლმა და ხორცმაო!“ ადვილი მისახვედრია, რა თქმა უნდა, ვინა ჰყავდათ ამოღებული მიზანში...

მამა კავჯარაძე გურულია, სწავლა-განათლება — ტფილისის სასულიერო სემინარიაში აქვს მიღებული...

VII

მამა კავჯარაძეს მხარს აძლევს და მასთან ერთად ერთს ჭაპანს ეწვეა მეორე ჩვენივე თანამემამულე, გარნა საერო წოდებისა, ოჩამჩირეს ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველი, ბ-ნი ბორის ხორავა.

ეგ ვაჟბატონი არ დასჯერდა მოკრძალებულს როლსა მასწავლებლისას და განიზრახა მეგრელთათვის უფრო დიდი, უფრო თვალსაჩინო სამსახური გაეწია.

ამ ორის თვის წინად სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო რჩევამა თავისს ერთ-ერთ სხდომაზე იმის შესახებ იქონია სჯა-ბაასი — ქართული ენა აფხაზეთ-სამურზაყანოს სამრევლო სკოლებში საჭიროა თუ არაო. ამ საგნის გადაწყვეტა მიენდო თვით სოფლელთა. და რჩევამ ბლალოჩინთ მოწერილობანი დაუგზავნა: თექენს საბლალოჩინოებში მღვდლების საშუალებით

ხალხს დაეკითხნით — უნდათ თუ არა სკოლებში (სამრე-
ლოებში) ბავშვებს ქართული ასწავლონ.

ჯერ-ჯერობით ორს-სამს სოფელში მოხდა სოფელელთა
კრება ამ საქმის შესახებ და ოქმი ქართულის ენის სასარგებ-
ლოდ დაადგინეს. ე. ი. ქართული ენა — ჩვენი დედა-ენაა,
წირვა-ლოცვა ქართულად უფრო გვესმის, შინაურობაში ქარ-
თულის ცოდნა ჩვენთვის უფრო გამოსადგეია და, გარდა ამი-
სა, თვით რუსულის შესწავლა ქართულის ენის საშუალებით
უფრო უადვილდება ჩვენს ბავშვებსაო. საზოგადოდ, ყველა ოქ-
მები სოფელელთა ამ ხასიათისაა.

ბატ. ბორის ხორავას ეგ ამბავი რომ გაუგია, დატრიალებუ-
ლა — თუ გამოვიჩინ თავსა, — ახლაო. შუადგენია მოხსენება
სოხუმის ეპისკოპოსთან და ამტკიცებს, მეგრელთათვის ქარ-
თული ენა უფრო ძნელი გასაგები და შესათვისებელია, ვიდრე
რუსულიო (?), მარტო ქართველები თუ იტყვიან, რომ მეგ-
რელსა და ქართველსა გასაყოფი არა აქვსთ-რაო, და მებრი
სხვა. ეს მოხსენება ბორის ხორავამ ჯერ ოჩამჩირელებს უჩვენ-
და და სთხოვა, ამაზე ხელი მოვაწეროთ ყველა მეგრელებმა
და მივართვათ, სადაც ჯერ არს, — იქნება, ქართული ენა რო-
გორმე მოგვაშორონო... წარმოიდგინეთ ბ-ნ ხორავამს სასო-
წარკვეთილება, როცა ოჩამჩირეში კოჭი ალჩუს არ დაუჯდა.
მანდაურებმა სულ კუდით ქვა ასროლინეს თურმე, — შენის
ჭკუისა სხვაგან მონახეო.

ოჩამჩირეში კუდ-ამოძუებულმა ბ. ხორავამ სოფლებს მიმარ-
თა, — არიქათ, ვილუპებით, მეგრელები უნდა გაგვაქართველონ
და მთავრობას შევჩივლოთ ჩვენი შავი დღეო. თავისი საკბილო
აქ კი უშოვნია, მაგრამ მაინც იმდენი არა, რამდენის იმედი
ჰქონდა ბატონს ხორავასა, — სულ თურმე 14 კაცს მოუწერია
ამ უცნაურის „მოხსენებაზე“ ხელი...

აჰა, ბატონებო, რა სურათს წარმოადგენს დღეს აფხაზეთ-სამურზაყანოში სამღვდელელობა და ქართული ენა!..

გაბრიელ ეპისკოპოსის ღვთიურ ქადაგების შემდეგ ხალხს, სწორედ იმ ხალხს, რომელსაც ყველაზე მეტად ეჭირვებოდა მზრუნველობა, — ეკლესიებში არავინ არიგებს მამა-შვილურად, არავინ უხსნის ქრისტეს მოძღვრებასა... სოხუმში, რამდენი მაგალითები ვიცი, მთელის ხუთის წლობით არა ჰზიარებულან.

აი, სადა გვჭირდება ნამდვილი სულიერი მამანი, აი, სად ექმნებათ ყველა პატიოსანსა და გულმოდგინე მუშაკსა ფართო ასპარეზი მოღვაწეობისა; აი, სად დაჯილდოვდება ასკეტად მათი შრომა, ხალხის საკეთილდღეოდ წარმართული და მისის სიყვარულით გამოწვეული და გულგამთბარი!.. აი, ამ მხარეს უნდა მიატანონ ჩვენმა ახალგაზრდა მღვდლებმა, სემინარიაში ნასწავლებმა, ვისაც კი ჰსურს მათი შრომა ნაყოფიერი იქმნეს და თვისთა დაჩაგრულთა მოძმეთა გაჭირვების-ტალკვესობა გაუწიონ, ჭირსა და ღზინში მათი ნამდვილი სულიერნი მამანი იყვნენ.

თ. სახოკია

ქ. სოხუმი

ქურნალი „მოამბე“, 1895, №XI, გვ. 114-125.

შენიშვნები

¹ „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ – რუსეთის უძველესი გაზეთი, გამოდიოდა 1728 წლიდან (1914 წლიდან – „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“), დაიხურა 1917 წელს.

² თელო სახოკია პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ (1891-1893 წწ.) საქმესთან დაკავშირებით. მას ბრალად ედებოდა „ლიგის“ წევრობა და ერთხანს პატიმრობაშიც იყო. „ლიგის“ საქმე ძიებით შეწყდა 1896 წელს, თუმცა ბრალდებულები და ეჭვმიტანილები მაინც დატოვეს პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ.

³ სოხუმის ოკრუგი – ამ ადმინისტრაციულ ერთეულში გაერთიანებული იქნა აფხაზეთის სამთავროს ისტორიული ტერიტორია და სამურზაყანო. სოხუმის ოკრუგი ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ექვემდებარებოდა – ოკრუგის უმაღლეს ადმინისტრაციულ მოხელედ ითვლებოდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამეძვე.

⁴ „ქართულ პარტიად“ ძიების მასალებსა და ოფიციალურ მიმოწერაში იხსენიება თელო სახოკიას მიერ შექმნილი ორგანიზაცია. გასაგები მიზეზების გამო ორგანიზაციის წევრები ძიების პროცესში საერთოდ უარყოფდნენ რაიმე ორგანიზაციის ან პარტიის შექმნის ფაქტს. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის საბჭოს, მათ დამტკიცებულად მიაჩნდათ ქართული პარტიის შექმნისა და ფუნქციონირების საკითხი.

⁵ კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება – რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც ისევე ებრძოდა ქართულ ეკლესიას, როგორც ოფიციალური საეკლესიო ხელისუფლება – რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უწმინდესი სინოდი და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა.

⁶ აფხაზეთი და სამურზაყანოც სოხუმის ოკრუგში შედიოდა. იმ პერიოდის ოფიციალურ დოკუმენტებში კავკასიის რუსული ადმინისტრაცია აფხაზეთს და სამურზაყანოს არ აიგივებს და მათ ცალ-ცალკე მოიხსენიებს.

⁷ სოხუმის ოკრუგში მცხოვრებ მეგრელთა (ე. ი. ქართველთა) რაოდენობას თედო სახოკია სავსებით ზუსტად მიუთითებს, ხოლო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი პოლიტიკური მოსაზრებით სტატისტიკურ მონაცემებს აყალბებს (იხ. გამოკვლევა).

⁸ სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სტატისტიკა უხეშადაა გაყალბებული (იხ. გამოკვლევა).

⁹ ქ. სოხუმის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სტატისტიკა უხეშადაა გაყალბებული (იხ. გამოკვლევა).

¹⁰ გიორგი წერეთელი გარდაიცვალა 1900 წლის 12 იანვარს. სოხუმის საკათედრო ტაძარში გიორგი წერეთლის პანაშვიდის ქართულ ენაზე გადახდა საზოგადოების მიერ აღქმულ იქნა როგორც საპროტესტო აქცია მიმართული რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

¹¹ ივანე (იოანე) ქაჯუარაძე ცნობილი იყო თავისი რუსიფიკატორული მოღვაწეობით, რის გამოც თედო სახოკიასა და ქართული პარტიის მუდმივი თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა.

¹² თედო სახოკიას კორესპონდენციას სოხუმიდან (იხ. გაზეთი „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“, 1900, №177) დიდი რეზონანსი ჰქონდა პეტერბურგისა და მოსკოვის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში, საერთოდ რუსეთის საზოგადოებაში, რაც, რა თქმა უნდა, ძალზე მტკივნეულად აღიქვა კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ.

¹³ სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სტატისტიკა ამჯერადაც უხეშადაა გაყალბებული (იხ. გამოკვლევა).

¹⁴ სოხუმის ოკრუგის ადგილობრივი მოსახლეობის ემიგრაციაში იგულისხმება მუჰაჯირობა — აფხაზთა გადასახლება თურქეთში.

¹⁵ აფხაზები არ წარმოადგენდნენ სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის ძირითად მასას (იხ. გამოკვლევა).

¹⁶ კომენტარი ამ ფანტასტიური ფაქტის იყენებისა იხ. გამოკვლევაში. ფაქტობრივად, ცხადია, პოლიტიკური მოსაზრებით იყო გაპირობებული: კავკასიის კოლონიურ ხელისუფლებას სურდა საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორება სრულიად ბუნებრივ მოვლენად

წარმოედგინა, ხოლო ქართული (მეგრული) მოსახლეობის ბრძოლა აფხაზეთის შენარჩუნებისათვის უკანონოდ გამოეცხადებინა.

¹⁷ ბორის ზორავა — ოჩამჩირის სკოლის ზედამხედველი, განათლების დარგში რუსიფიკატორული პოლიტიკის აქტიური გამტარებელი.

¹⁸ თედო სახოკიას ქართული პარტიის წევრები იმხანად ცნობილი მოღვაწეები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ადრევე მოხედნენ ჟანდარმერიისა და ოხრანკის ყურადღების ცენტრში.

ანთიმოზ ჯუღელი (ფსევდონიმი „გადაღმელი“) — პროზაიკოსი, პედაგოგი, ეროვნული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, თბილისის სასულიერო სემინარიაში. პედაგოგობდა სოფ. სუჯუნასა და ქ. სოხუმში, ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. 1875-1876 წლებში გამოაქვეყნა რამდენიმე საყმაწვილო მოთხრობა და პატარა თხზულებები საქართველოს ბუნებასა და გეოგრაფიაზე. შეადგინა საბავშვო წიგნები: „ბუნების სარკე“ (1875), „სიყვარული“ (1879), დედა-ენის სწავლების სახელმძღვანელო.

ივანე გგია (ფსევდონიმი „ოდიშელი“) — პოეტი, ჟურნალისტი, პედაგოგი, ეროვნული მოძრაობის ცნობილი მოღვაწე. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1880 წლიდან მასწავლებლობდა ოჩამჩირეში (სადაც გახსნა კერძო სასწავლებელი) და ოქმუში. იყო „დროების“, „ივერიის“, „ცისკრის“, „ჯეჯილის“, „ცნობის ფურცლის“ მუდმივი კორესპონდენტი. მისი პოეტური ქმნილებები შესულია „ქართველი პოეტების ლექსთა კრებულში“ (1890), „ქართული პოეზიის ნიმუშებში“ (1892), გამოცემულია ცალკე წიგნადაც სათაურით „ლექსთა კონა“ (1890).

სპირიდონ ნორაკიძე — პედაგოგი, ეროვნული მოძრაობის ცნობილი მოღვაწე. პედაგოგობდა სამურზაყანოსა და აფხაზეთში. ემხრობოდა სოციალისტ-ფედერალისტურ, ხოლო შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიულ მიმდინარეობას. დიდხანს იღვწებოდა ჟანდარმერიისა და ოხრანკის მიერ. ქართულ პრესაში წერდა „მეგრელის“ ფსევდონიმით. 1910 წელს მოკლული იქნა შავრაზმელების მიერ.

¹⁹ ივანე (იოანე) ჩხენკელი — მღვდელი, აფხაზეთში რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი. აფხაზეთისა და სამურზაყანოს საეკლესიო

სიო და საერო სკოლებში ქართული ენის სწავლებისა და ღვთის-მსახურების ქართულ ენაზე აღსრულების დამკვიდრებისათვის ბრძოლის დროს მრავალგზის დაუპირისპირდა სასულიერო და საერო ხელისუფლებას. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის – აკაკი ჩხენკელის მამა. ქართულ პრესაში წერდა „ენგურელის“ ფსევდონიმით.

²⁰ აკაკი ჩხენკელი – ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი. რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს წევრი, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი.

²¹ ვ. გ. პეტრიევი – ვასილ პეტრიაშვილი, ცნობილი ქართველი მეცნიერ-ქიმიკოსი, პროფესორი. მოღვაწეობდა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტში მეორე ცნობილ ქართველ მეცნიერ-ქიმიკოსთან, თბილისის უნივერსიტეტის პირველ რექტორთან პროფესორ პეტრე მელიქიშვილთან ერთად.

²² ნიკოლოზ თავდგირიძე – ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოხუმის ქალაქის თავი, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, აფხაზეთში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი, როგორც XX საუკუნის დამდეგსა და ათიან წლებში, ისე 1917-1918 წლებში. ქართულ პრესაში წერდა „გურულის“ ფსევდონიმით.

²³ ბესარიონ ხელაია – მღვდელი, აფხაზეთსა და სამურზაყანოში რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი, ავტეკაფალური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მოგვიანებით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი.

²⁴ ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) – გორის ეპისკოპოსი, ქართლ-კახეთის ეპარქიის პირველი ქორ-ეპისკოპოსი, გურიის ეპისკოპოსი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი (1898 წლიდან), ავტოკეფალური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.

²⁵ ეპისკოპოსი კირიონი (გიორგი სამაგლიშვილი) – ავტოკეფალური მოძრაობის სულისჩამდგმელი და იდეური ხელმძღვანელი, რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისათვის მრავალჯგზის დასჯილი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ.) პირველი კათალიკოს-პატრიარქი – კირიონ II.

²⁶ ეპისკოპოსი ლეონიდი (ლონგინოზ ოქროპირიძე) – ქუთაისის ეპისკოპოსი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ თბილისის მიტროპოლიტი. კირიონ მეორის მკვლელობის შემდეგ (1918 წ.) არჩეული იქნა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად.

²⁷ თედო სახოკიას წერილმა, რომელიც ჟურნალ „მოამბის“ 1895 წლის მე-11 ნომერში დაიბეჭდა, ქართული საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია.

²⁸ ივანე ჩხენკელის წერილი, რომელიც გაზეთ „კვალის“ 1895 წლის 16 ივლისის ნომერში დაიბეჭდა აღ. ენგურელის ფსევდონიმით, ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა.

²⁹ სტატისტიკური მასალის შემოწმება არ ხერხდება.

³⁰ ამ ფაქტის შემოწმება არ ხერხდება.

³¹ მართალია, ეს წესი ოფიციალურად არ ყოფილა დადგენილი, მაგრამ იგი პრაქტიკულად მაინც ხორციელდებოდა.

³² ამ ფაქტის შემოწმება არ ხერხდება.

³³ სოხუმის ეპისკოპოსის არსენის ასეთ წინდაუხედავ მოქმედებას მართლაც ჰქონდა ადგილი. თედო სახოკია სავსებით ზუსტად გამოსცემს მომხდარის შინაარსს.

³⁴ გასაგებია, თუ რატომ იცავდა მღვდელ ივანე ქავეჩარაძეს ასე თავგამოდებით კოლონიური ადმინისტრაცია: ი. ქავეჩარაძე, მართალია, ქართველი იყო, მაგრამ ერთგულად ემსახურებოდა აფხაზეთის ეკლესიის რუსიფიკაციის საქმეს.

³⁵ ამ შეთხზული ბრალდების გარეშე თედო სახოკიას დასჯა შეუძლებელი იქნებოდა.

³⁶ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ (1899, №5230) მოთავსებული მცირე ზომის კორესპონდენცია ეძღვნება აფხაზეთის ქართული ეკლესიის მძიმე მდგომარეობას.

³⁷ სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სტატისტიკა, როგორც ზემოთ, ამჯერადაც უხეშადაა გაყალბებული (იხ. გამოკვლევა).

³⁸ აფხაზები არ შეადგენდნენ სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის ძირითად მასას (იხ. გამოკვლევა).

³⁹ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის საბჭომ ამ საკითხზე იმსჯელა 1904 წლის 10 მაისს.

⁴⁰ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის საბჭოს გადაწყვეტილება, ფაქტიურად განაჩენი, ძალაში შედიოდა მისი მიღებისთანავე ქართული პარტიის წევრებს მეტად სასტიკი განაჩენი გამოუტანეს: მათი გადასახლების ვადა არ განისაზღვრა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი შეიძლებოდა დაუსრულებლად გაგრძელებულიყო.

⁴¹ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ და საქართველოს ეგზარქოსმა სხვადასხვა სასჯელი დაადო ქართული პარტიის წევრობაში ეჭვმიტანილ სასულიერო პირებს.

ПРИМЕЧАНИЯ

¹ “Санкт-Петербургские ведомости” – старейшая газета России, выходила с 1728 года (с 1914 года – “Петроградские ведомости”), закрыта в 1917 году.

² Тедо Сахокия находился под негласным надзором полиции в связи с делом “Лиги свободы Грузии” (1819-1893 гг.). Его обвиняли в том, что он член “Лиги”, некоторое время он был даже под арестом. Дело “Лиги” было прекращено следствием в 1896 году, хотя обвиняемых и подозреваемых все же оставили под негласным надзором полиции.

³ Сухумский округ – в эту административную единицу были объединены историческая территория Абхазского княжества и Самурзакано. Административно Сухумский округ подчинялся Кутаисскому военному губернатору, высшим административным чиновником округа считался помощник Кутаисского военного губернатора.

⁴ “Грузинской партней” в материалах следствия и официальной переписке названа созданная Тедо Сахокия организация. По понятным причинам члены организации в процессе следствия отрицали вообще факт создания какой-либо организации или партии. Что касается начальника Кутаисского губернского управления жандармерии, Кутаисского военного губернатора, Совета Главноначальствующего гражданской частью на Кавказе, они считали вопрос существования Грузинской партии доказанным.

⁵ Общество по восстановлению православного христианства на Кавказе религиозная организация, которая боролась с грузинской церковью, как и официальные церковные власти – Святейший Синод русской православной церкви и Грузино-имеретинская синодальная контора.

⁶ И Абхазия и Самурзакано входили в Сухумский округ. В тот период российская администрация Кавказа в официальных доку-

ментах не отождествляет Абхазию и Самурзакано, упоминает их отдельно.

⁷ **Тедо Сахокия** абсолютно точно указывает численность проживающих в Сухумском округе мегрелов (т. е. грузин), а Кутаисский военный губернатор фальсифицирует статистические данные из политических соображений (см. очерк).

⁸ Статистика национального состава населения Сухумского округа грубо фальсифицирована (см. очерк).

⁹ Статистика национального состава населения г. Сухуми грубо фальсифицирована (см. очерк).

¹⁰ **Георгий Церетели** скончался 12 января 1900 года. Общественность восприняла служение панихиды по Георгию Церетели в Сухумском кафедральном соборе на грузинском языке как направленную против русификаторской политики акцию протеста.

¹¹ **Иванэ (Иоанэ) Кавжарадзе** был известен своей русификаторской деятельностью и представлял поэтому объект постоянной критики Тедо Сахокия и Грузинской партии.

¹² Корреспонденция **Тедо Сахокия** из Сухуми (см. газету "Санкт-Петербургские ведомости", 1900, №177) имела большой резонанс в высших политических кругах Петербурга и Москвы, вообще в российском обществе, что, конечно, болезненно восприняла российская администрация Кавказа.

¹³ Статистика национального состава населения Сухумского округа и на этот раз грубо фальсифицирована (см. очерк).

¹⁴ Под эмиграцией местного населения Сухумского округа подразумевается мухаджирство – переселение в Турцию.

¹⁵ **Абхазы** не представляли основную массу населения Сухумского округа (см. очерк).

¹⁶ Комментарий к этой фантастической фальсификации см. в очерке. Фальсификация действительности была обусловлена, конечно, политическими соображениями: колониальные власти Кавказа стремились представить отторжение Абхазии от Грузии как совершенно естественное явление, а борьбу грузинского (мегрельского) населения за сохранение Абхазии объявить незаконной.

17 Борис Хорава – надзиратель Очамчирской школы, активный проводник русификаторской политики в области образования.

18 Члены Грузинской партии Тедо Сахокия были известные в то время общественные деятели, по разным причинам ранее оказавшиеся в центре внимания жандармерии и охраны.

Антимоз Джугели (псевдоним “Гадагмели”) – прозаик, педагог, известный деятель национального движения. Учился в Кутанском духовном учебном заведении, в Тбилисской духовной семинарии, учительствовал в селе Суджуна и г. Сухуми, вел широкую общественно-просветительскую работу. В 1875-1876 годах опубликовал несколько рассказов для юношества и маленькие сочинения о природе и географии Грузии, составил детские книжки: “Зеркало природы” (1875), “Любовь” (1879), пособие для преподавания родного языка.

Иванэ Гегия (псевдоним “Одишели”) – поэт, журналист, педагог, известный деятель национального движения. По окончании духовного учебного заведения с 1880 года учительствовал в Очамчире (где открыл частное учебное заведение) и в Окуми. Был постоянным корреспондентом “Дроеба”, “Иверии”, “Цискари”, “Джеджили”, “Цнобис пурцели” Его поэтические сочинения вошли в “Сборник стихотворений грузинских поэтов” (1890), “Образцы грузинской поэзии” (1892), изданы в отдельной книгой под названием “Сборник стихотворений” (1890).

Спиридон Норакидзе – педагог, известный деятель национального движения, учительствовал в Самурзакано и Абхазии, помогал социалист-федералистскому, а в дальнейшем национально-демократическому течению, продолжительное время подвергался преследованиям жандармерии и охраны. В грузинской прессе писал под псевдонимом “Мегрели” В 1910 году был убит черносотенцами.

19 Иванэ (Иоанэ) Чхенкели – священник, активный борец против антигрузинской политики Святейшего Синода русской церкви в Абхазии. В период борьбы за преподавание грузинского языка в церковных и светских школах Абхазии и Самурзакано и утверждения богослужения здесь на грузинском языке неоднок-

ратно противостоял духовным и светским властям. Отец известного политического деятеля Акакия Чхенкели. В грузинской печати писал под псевдонимом “Энгурели”

²⁰ **Акакий Чхенкели** – выдающийся политический деятель, социал-демократ, член Государственной Думы России, председатель Национального интерпартийного совета Грузии, заместитель председателя Национального совета Грузии, председатель Правительства и министр иностранных дел Закавказской Демократической Федеративной Республики, первый министр иностранных дел Демократической Республики Грузия.

²¹ **В. Г. Петриев** – Василий Петриашвили, известный грузинский ученый-химик, профессор. Работал в Новороссийском (Одесском) университете вместе со вторым известным грузинским ученым-химиком, первым ректором Тбилисского университета профессором Петре Меликишвили.

²² **Николоз Тавдгиридзе** – известный грузинский политический деятель, Сухумский городской голова, соратник Ильи Чавчавадзе, активный борец против колониальной политики России. В грузинской печати писал под псевдонимом “Гурули”

²³ **Виссарион Хелая** – активный борец против антигрузинской политики Святейшего Синода русской церкви в Абхазии и Самурзакано, выдающийся деятель движения за автокефалию, позднее – Католикос-Патриарх Грузии Амвросий.

²⁴ **Епископ Александр (Окропиридзе)** – епископ Горийский, первый викарий Карталинско-Кахетинской епархии, епископ Гурийский, епископ Гурийско-мегрельский (с 1898 года), выдающийся деятель движения за автокефалию.

²⁵ **Епископ Кирион (Георгий Садзаглишвили)** – вдохновитель и идейный руководитель движения за автокефалию, неоднократно подвергшийся наказаниям за непримиримую борьбу против антигрузинской политики Святейшего Синода русской церкви. Первый Католикос-Патриарх после восстановления автокефалии грузинской церкви (1917 г.) Кирион II.

²⁶ **Епископ Леонид (Лонгиноз Окропиридзе)** – епископ Кутаисский, после восстановления автокефалии грузинской церкви мит-

рополит Тбилисский. После убийства Кириона Второго (1918 г.) был избран Католикосом-Патриархом Грузии.

27 Корреспонденция **Тедо Сахокия**, напечатанная в 11-м номере журнала “Моамбе” за 1895 год, вызвала большое возмущение грузинской общественности.

28 Корреспонденция **Иванэ Чхенкели**, напечатанная в номере газеты “Квали” от 16 июля 1895 года под псевдонимом Ал. Энгурели, стала предметом внимания грузинской общественности.

29 Проверить статистический материал не представляется возможным.

30 Проверить этот факт не представляется возможным.

31 Хотя этот порядок не был установлен официально, но практически он все же осуществлялся.

32 Проверить этот факт не представляется возможным.

33 Такие недалёковидные действия Сухумского епископа Арсения действительно имели место. Тедо Сахокия совершенно точно передает содержание происшедшего.

34 Понятно, почему так ревностно защищала священника Иванэ Кавжарадзе колониальная администрация: И. Кавжарадзе, хотя и был грузином, преданно служил делу руссификации церкви Абхазии.

35 Без этого ложного обвинения невозможно было бы наказать Тедо Сахокия.

36 Помещенная в газете “Новое обозрение” (1899, N5230) небольшая корреспонденция посвящена тяжелому положению грузинской церкви Абхазии.

37 Статистика национального состава населения Сухумского округа здесь, как и выше, грубо фальсифицирована (см. очерк).

38 Абхазы не составляли основную массу населения Сухумского округа (см. очерк).

39 Совет Главного начальствующего гражданской частью на Кавказе обсудил этот вопрос 10 мая 1904 года.

40 Решение, фактически приговор, Совета Главного начальствующего гражданской частью на Кавказе, вступал в силу сразу по его принятии. Членам Грузинской партии вынесли слишком суровый

приговор: срок их ссылки не был определен, что означало возможность его бесконечного продления.

⁴¹ На основе представления Совета Главногоначальствующего гражданской частью на Кавказе, Грузино-имеретинская синодальная контора и экзарх Грузии определили различные наказания подозреваемым в членстве в Грузинской партии духовным лицам.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თედო სახოკიას ქართული პარტია აზნაზეთში (1895-1904)	5
დოკუმენტები	69
დანართი	135
შენიშვნები	157

СОДЕРЖАНИЕ

ГРУЗИНСКАЯ ПАРТИЯ ТЕДО САХОКИЯ В АБХАЗИИ (1895-1904)	5
ДОКУМЕНТЫ	69
ПРИЛОЖЕНИЕ	135
ПРИМЕЧАНИЯ	157

კორექტორები: ირინე ტაბატაძე
პაპუნა გურული

საბეჭდი ქალაქი 60X84 $\frac{1}{16}$
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5

შეკვეთის №311 ტირაჟი 250

ფასი სახელშეკრულებო

Корректоры: Ирина Табатадзе
Папуна Гурули

Заказ №311 Тираж 250

Цена договорная